

ს რ ი ლ ი

№12 (175)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

12 ივლისი

ფასი 80 თეთრი

#12
2001



ფირად
ფაროსხალი

ჩადრის გარეშე

არლი

საზოგადოებრივ-ლიბერალური
ასოციაცია "არლის" გამომცემი

The Literary Magazine ARILI

არლი - დასავლელი სიმინდელია (ნი)
სულხან-საბა

არლი - შხის შუქი, რამეზე დამდგარა
მართული მისი
პანაორთაბითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
შადივან შამანაძე

სარედაქციო სბჭმ

მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
შალვა ბაკურაძე
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრაღიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინო ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მალაფეროძე
დავით ნინიკაშვილი
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მინეჰარი - მიხეილ ჩიტაძე
კომპიუტერული დირექტორი -
გიორგი სუბარი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;

ფაქსი: 98-67-90;

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: პ. ინგოროძის ქ. №5

ქურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№12 სუთხაბათი, 12 ივლისი, 2001
გამოდის ორ კვირაში ერთხელ

ლიბრატურა

თეიმურ ჩხატინანი	
ლექსები	1
ზურაბ ლეჟავა	
ბრმა მუსიკოსი	2
ემაზარ კვიციანიშვილი	
უნდა გვემაცუბოდეს, გვიხაროდეს...	9
ნოდარ გურაბანიძე	
საბრალო ჰამლეტი	13
ანდრო გუაჩიძე	
ხელოვნებადქცეული სიცოცხლის სტიქია	16
თამაზ ვასაძე	
"ვეფხისტყაოსნის" მხატვრული შინაარსის კომენტარები	18
თომას ბარნარდი	
ორი აღმზრდელი	20
პეტარ ჰანდკე	
მე სპილოს ძეღის კოშკის ბინადარი ვარ	22
აკაკი ვაჭი	
ზლაპარი-თავგადასავალი	24

პერსონა

ფორულ ფაროხზადი	
ვერმუნოთ ცივი სეზონის დასაწყისს	28
ინტერვიუ ფორულ ფაროხზადთან	
"მე დაბადებამ ოცდაათი წლის ზღურბლთან მომიწია"	31
მომსახე მახამლაშვი	
რალაქ მაინც ბრწყინავს ფორულის ბნელ სახლში	35
ფორულ ფაროხზადი	
ფრაგმენტები	8

პუბლიცისტიკა

ზაზა ფარუაშვილი	
მიმდინარე ამბავი	39

თევზ რეზინიანი

პატარა სიღი

არა ჩემთან,
არამედ ჩემზე გადავლით - სხვისკენ!..

ეს მერამდნედ გაიარეს,
გაიარეს ზედ ჩემს მკერდზე
და ნაბიჯების ყრვ გუგუნში
ჩაიკარგა ჩემი გულის ხმა.

უძრავი და უთქმელი ვრჩები
და ტკივილზე
არა სალბუნი
ან ვისამე მზრუნველი ხელი,
არამედ როგორც გაცრეცილი სიტყვა
“მშვიდობით”,
ერთადერთი ფოთლი მავღია.

სახლი

კვდება ვიღაცა შუაღამით და კვდება სხვაგან.
და ამ ღამეში რაც მან იცის, მხოლოდ ეს არის,
რომ სხვაგან არის; ერთადერთი ნათელი აზრი
შემორჩენია მის გონებას აქამდე და ამიტომაც
ძლივსგასაგონად რომ ჩურჩულებს: “ჩემს სახლში მინდა”.

და მან არ იცის, რომ ის სახლი უკვე სხვისია;
კარგა ხანია, სხვისი არის. იმ ეზოში, მისი რომ ერქვა,
ღღისით სხვები მიმოდიან და აივანზეც,
სადაც ერთ ღროს ის ფენდა სარეცხს,
სხვისი სარეცხი არის ზოლმე გამოფენილი.

ახლაც, ამ ღამით, როცა უკვე სულს ეთხოვება,
მის სახლში სხვები იძინებენ და იმ ოთახშიც,
სადაც უკლები გაატარა მეუღლის გვერდით
(ბოლო ღროს თავზე ამაოდ რომ დასტრიალებდა
და ერთ დღეს სულაც ხელიდან რომ გამოეცალა),
სხვები სუნთქავენ სხვა ფიქრით და სულ სხვა სიზმრებით.

ჰო, კვდება იგი სიჩუმეში და კვდება სხვაგან -
მიზნუც ქალი, მარტოსული, თანაც შეშლილი,
ვისაც უკვე არაფერი აღარ ახსოვდა
უკანასკნელ ხანს და ეგონა, რომ სტუმრად იყო;
სტუმრად იყო და სჯეროდა: ადრე თუ გვიან
დაბრუნდებოდა იმ კერაზე - საკუთარ სახლში.

საკუთარ სახლში... მაგრამ იქაც სტუმრები არ ვართ?..
სახლში ყოფნა ზომ მიმზიდველი ილუზიაა
შინ ყოფნისა; ილუზია ასე ნამდვილი,
იმთავითვე რომ ვიჯერებთ და ვებლაუჭვებით
მთელი არსებით - სულ ბოლომდე,
უკანასკნელ დაბრუნებამდე..

...და კვდება ვიღაც შუაღამით მარტო და სხვაგან.
და ერთადერთი, რაც მან იცის, სწორედ ესაა,
რომ სხვაგან არის; მხოლოდ ერთი სურვილი მოჰყვა
საბრალოს დღემდე, ამ წუთამდე - უკვე რომ მიდის



და სიბნელეში რომ ჩურჩულებს: “ჩემს სახლში მინდა”.

მუზაუმი II

შედი ღუმლის საუფლოში:
აპყვი კიბეს
და შეაბიჯე სიჩუმეში,
სადაც ისევ შენი ფეხის ხმა
თუ დაარღვევს მყუდროებას ათასწლეულთა.

შედი ღარბაზში და შეამჩნევ:
ოთხი კედელი დაძაბული მოგაჩერდება,
ხოლო საგნები ერთმანეთსაც გადახედავენ
და უპასუხოდ დარჩენილი
უძალ ისევ გაშეშვებიან.

ათვალიერე. უსმინე. ჩასწვდი...

შენ სვამდი ღვინოს ამ თასიდან
და მის ნამტვრევებს
ღიღი ხნის მერე პოულობდი, აკოწიწებდი;
შენ თლიდი ამ ქვას კარის თაღისთვის
და მრავალი საუკუნის მერე ისევ შენ
ეძებდი მას მიწის სქელი ფენით დაფარულს;
შენ გეპყრა ხელთ ეს მახვილი
და თვითონაც სისხლი გლიოდა...

შენი ზომალდის ღუზაა ეს;
შენი იყო ეს სარკოფაგი
და ეს ხამლიც შენ გეცკა ერთ ღროს -
შენ აგროვებდი ამ ყველაფერს
მთელი შენი არსებობის მანძილზე,
დღემდე.

შენ წერდი ამ ფოლიანტებს.
სადაც სენაკში,
სანადიის შუქზე წერდი ამ ფურცლებს,
რომლებსაც მერე,
ღრო-ჟამისაც გადაჩრჩინლ ძვირფას ნაფლეტებს,
ისევ შენვე ნახავდი და წაიკითხავდი.

მუზაუმი III

ამ სურათებში
იმვითად იღიმებიან,
იმვითად და მწელად შესამჩნევად:

ლამაზი მსახიობი ქალი,
საკაპერო ბურთიანი პატარა გოგონა...
კიდევ ერთი-ორგან თუ ნახავთ ვინმეს,
რომ იღიმებოდეს.

უღიმილოა
სურათების უმრავლესობა:

არ იღიმება არც შეთევვე
და არც სახელარზე მსხვილბეჭდილი
არ იღიმება ღარიბმა დედა
არც უშვილო ძილიანს
არ იღიმება მხარგრეული

F8257

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

და არც დარდიმანდი მოქეიფენი ილიმებიან...

ანიმალისტურ სურათებზე არაფერს ვამბობ -
შელის თვალებიდან
ყველაფერი ისედაც ცხადა!..

არადა, ეს დარბაზი ყოველთვის
საცსეა ღიმილით;
ღიმილით,
მნახველთა სახეებზე რომ იხატება
სევდანარევი სიხარულის
ნიშნად და დასტურად.

“მეც მიხარია,
მაგრამ მაინც თან მომდევს კითხვა,
რომელიც ერთხელ დამბადა
და დღემდე ვერ გავეცი პასუხი:
- როდის გაიღიმებს “მეეზოვე”?..

თამაშის წესები

ძველი სატახტო ქალაქი ესე
მხოლოდ სასახლის გაღავენით და
საუკუნებებამოვლილი
ჭადართი თუ იცნობა ახლა;
ეკლესიის ზარები კი კვლავაც ცდილობენ
შეგვახსენონ რაღაც ღიდი,
რაღაც ძვირფასი.

სად? სად არიან?
ან რასა იქმს ძეგლადქცეულ მეფის ამაღლა?
საქმე თქვით თორემ, გასართობი მოინახება:
ღვინის სარდაფი, ღამის კლუბი, საბილიარლო...

სალამოვდება. გრილა. ინთება
სინათლეები სახლებში და შინ ბრუნდებიან.
აქ კი დინჯად მიმოღიან
ღუზებიან მაგიდის ირგვლივ,
დასცქერიან,
იზინდებიან
და ზათქაზუთქი გაუღით ბურთებს...

ჯავრს იყრიანო თითქოს ვინმეზე;
ცარცსაც მალამოდ ისეამენო
ხელებზე თითქოს,
არადა, მათი იარაღი... შუბებს მხოლოდ ჰგავს!..

ისტორიაც და თამაშიც მკაცრია,
და ჩვენც
ვემორჩილებით თამაშის წესებს -
დამარცხებას შეგუებულნი
ღღეს ყველანი წაგებულს ვიხდით.

ნათია

1
მე არ ვიცოდი
და, მგონი, არც დაფიქრებულვარ,
რამდენ სართულიანი იყო ის საცხოვრებელი კორპუსი,
ღიდი ქალაქის გარეუბანში

სხვა კორპუსთაგან დიდად რომ არ განსხვავდებოდა...

იქ რამდენჯერმე მომიხდა მისვლა -
მეგობართან, ოჯახში, სტუმრად;
მახსოვს, ერთხელ ღამითაც დავარჩი,
მაგრამ იმ სახლის მეთორმეტე სართულს
არასოდეს ავცილებივარ.

არც ის ვიცოდი,
რომ იმ სახლში ცხოვრობდა გოგონა,
ჩვეულებრივი, მხიარული თინეიჯერი,
რომელსაც ჰყავდა ბევრი მეგობარი,
უფვარდა პატარები
და ალბათ ლექსებიც უფვარდა...

მე მხოლოდ ახლა გავიგე მისი არსებობა;
ახლა გავიგე, რომ მას ერქვა ნათია
და იყო თხუთმეტი წლის...
ის სახლი კი,
ის ღიდი სახლი
ყოფილა თხუთმეტსართულიანი!..

2
თხუთმეტი წლის -
მეთხუთმეტე სართულიდან!!!...
...
...
...
...
...



3
მომიტყვე.
მომიტყვე ეს სათხოვარი;
მომიტყვე და მომეცი ნება,
რომ ცრემლები მეც დაგადევნო.

მომეცი ნება,
რომ ვიფიქრო და შენ გისმინო;
ეუსმინო იმას,
რაც შენ შენი ბოლო ნაბიჯით
გვითხარი ასე თავზარდამცემად.

მომეცი ნება,
ადრიანი გაზაფხულის ის სადამო
მეცა მტკიოდეს
და ის ბოლო, ღია სარკმელი,
ღია კარი თუ აივანი
ძალიან დიდხანს დარჩეს ჩემში
ღია ჭრილობად.

მომეცი ნება,
რომ ვიცოდე და მახსოვდეს:
სადღაც მაინც ხარ და არსებობ;
რომ შენ უკვე ყვავილი გქვია
და შესწავით ლამაზია
შენი საფლავი.



იხილეთ "არილი" №8,11,13,16 (2000), 1,5,9 (2001).

საბატონო მყოფმა ვიქტორ ნაზრამემ თავისუფლების სანაცვლოდ სული მიყიდა ემზავს, მაგრამ სარგებელი ამით დიდი ვერ ნახა. პირიქით, მას უმარავი რამ გადახდა თავს ერთ ღამეში. იგი ბუ ემზავნებ კი დაქორწინდა. ემზავებმა თავის წრეში მიიღეს და ახალი სახელიც შეარქვეს - ზარღრა. თუმცა ის ბოლომდე მაინც ვერ გაუთავიანდა ემზავებს, დასევდიანდა და თანაც იმ დონემდე, რომ ემზავმა ლორმენმა - მისმა სულიერმა მოძღვარმა და სიმამრმა მას სული დაუბრუნა. თუმცა დაექანდა, რომ იგი თავისი ფეხით მივიდოდა ჯოჯოხეთში და საკუთარ სულსაც თავისი ხელით მიართმევდა ემზავს. მცირედით ყოყმანის შემდეგ მარტოდ დარჩენილი ზარღრა მართლაც აედევნა ჯოჯოხეთში მიმავალ ცოდვილთა ბანასს, მაგრამ ამ უკერად მის თან წაყვანაზე უარი თქვა მეორე მნიშვნელოვანმა ემზავმა ლეიბ-ყოზემ. ზარღრა მარტო დარჩა ტრიალ მინდორში. იგი ქალაქში დაბრუნდა.

მიდიოდა ქალაქისკენ ზარღრა და ფიქრობდა იმაზე, რაც მას ამ მოკლე დროის განმავლობაში და საერთოდ ცხოვრებაში თავს გადახდომოდა. მთელი მისი ულიომლო ცხოვრება რაღაც უცნაურ სიზმარს გაედა - არიულ-დარიულ, უშინაარსო, მწკარტე სიზმარს, რომელიც მთელი ღამე გუნიზმდება, გაღვიძებს, გაფორიატებს, მაგრამ არ გამახსოვრდება - სიზმარს, რომელიდანაც ვერ გამოგატავს აზრი. ზარღრამ არ იცოდა თუ რა საჭირო იყო ამდენი წლის მანძილზე ციხეში უაზროდ ჯდომის, სხვადასხვა დამცირებების ატანა. მან არ იცოდა, რა აზრი ჰქონდა სულის გაყიდვას ან მის არგაყიდვას. არ იცოდა რა აზრი ჰქონდა საერთოდ მის დაბადებას. ის უბრალოდ, ინსტინქტურად მიდიოდა ქალაქისკენ და ბოლოს, ბევრი იარა თუ ცოტა, ჩააღწია.

საგრძობლად დანგრეული, გზებგადახტრგილი ქალაქი აბა-იქ ჯერ კიდევ ბოლოადა. ისმობდა მოთქმა, წყველაკრულა და კვნესა. ქალაქი საყოველთაო რეიდის შედეგებს იძიდა და დასისლიანებულ-დაოსუსული, იარებს ილოკავდა. საყოველთაო დამანაშვევების წინააღმდეგ მმართველი ეს მოულოდნელი რეიდი, მოულოდნელადვე, ერთ ღამეში დამთავრებულიყო. შავად მბოლხი მთავრობის სასახლე კი იმაზე მეტყველებდა, რომ ყველას მიერ კრული პრეზიდენტი და მისი მთავრობა, უკვე გადაეყენებინათ, უკვე დაეპტიმებინათ, უკვე ჩამოებნათ და დაეცვრიტათ. მათი მთუყე ადგილები ახალ სხვის დაეკავებინათ. ქუჩებში სახელდახვლოდ აკრავდნენ ახალ ლიდერთა მომომიარ, კბილენდაკრეჭილ პორტრეტებს - დაუნდობლ, გაძივრულ სახეებს, ისეთივე გაძივრებისას, როგორებიც მათი წინამორბედნი და მათ წინამორბედთა წინამორბედნი იყვნენ. ეს თვით ქალაქის მოსახლეობა - ხალხი იყო ასეთი - ხალხი, რომელსაც არ შეეძლო ადამიანური ცხოვრება. ის გამუდმებით ვიღაცას ირჩევდა და გადაირჩევდა, გადააყენებ-გამოაყენებდა და მაინც არასოდეს არ ალაირებდა მთავარს - საკუთარ ბრალს. ზარღრაც ამ ხალხის შვილი იყო და ამიტომაც, სხვებისდარად, მანაც არ იცოდა ვისთვის დაედო ბრალი.

ქალაქი მგებლ შეცვლილიყო მის არყოფნაში. და არა მარტო იმტომ, რომ წუხელ მის ქუჩებში რეიდი მძინვარებდა. ის სხვანაირად იყო შეცვლილი: ყველგან რაღაცას ყიდდნენ, ყველგან რაღაცას ცვლიდნენ, ყველანი ამ ძალიან მდიდრები იყვნენ ან ძალიან ღარიბები. თუმცა, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი ჭარბობდნენ.

ზარღრა მიყვებოდა ნაცნობ და უცნობ ქუჩებს. იგი ისევ ცენტრალურ ვაგზალს მიადგა და მწარე ღიმილით მოიგონა თუ როგორ იქორწინა წუხელ, დღეს მას ვეღარა-

ზარმა მუსიკოსი

ციკლიდან "იხილეთ ჩვენი სულაბი"



ვინ ცნობდა, რადგანაც ყველას თავისი გასჭირვებოდა: ერთი რაღაცას ყიდდნენ, მეორენი ყიდულობდნენ, ზოგი მათხოვრობდა ხელგანვილი, ზოგი კი ზარღრასავით უაზროდ დაყილობდა. გაზარბაცებული, გადატრიალებებს შეეფუძლი, ამ გადატრიალებებით დაღლილი პოლიციელები კი აღარაფერი იჭერდნენ. ზარღრას სურდა ერთი ნაცნობი სახე მაინც ეპოვა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, რადგან მისი ახალი ნაცნობები ჯოჯოხეთში გამგზავრებულიყვნენ, ძველები კი, ძველები...

ღილა იყო სუსხიანი და ვიქტორიც წრეებს ურტყამდა ვაგზლის შერბას, ხან შიგ შედიოდა გასათობდა, მაგრამ ხის სკამზე მოკალათებულს, იქ უფრო ანუხებდა სიცივე ანუხებდა მას აგრეთვე ვაგზლის აფორიატებული სული - გასამგზავრებლად გამზადებული ხალხი, თუნდ დარბაისლურად მჯდომი, შეუმჩნეველ, მაგრამ ფორიატში იყო. ეს ფორიატი გადადიოდა სხვებზეც, ანუ იმათზე, ვინც არსად აპირებდა გამგზავრებას და, რასაკვირველია, ზარღრაც ამიტომ ეს უკანასკნელი დიდხანს ვერ ჩერდებოდა მოსაცდელ დარბაზში. ბოლოს მაინც იპოვნა სხვებთან შედარებით უფრო თბილი და, შეიძლება ითქვას, მყუდრო ადგილი. ეს გრძელი მინსიქემა გადასასვლილი იყო, რომელიც რკინიგზის ვაგზალსა და მტრის სადგურს ერთმანეთთან აკავშირებდა. ერთმანეთის გასწვრივ ჩამწკრივებული დახლებიდან თითქმის ერთი და იმავე საქონელს ყიდდნენ. დახლებზე ათასი წვრილობი ელაგა: ელმენტები, სარკვეები, სავარცხლები, კალმები, იზოლენტა, ტუმი და მელანი. რამდენიმე დახლს იქით ყიდდნენ ფუნთუშებს, შემდეგ ამათ მოსდევდა ისევ რამდენიმე დახლი ელმენტებით, სარკვეებით, ტუმი... და ისევ რამდენიმე

დახლს იქით იყიდებოდა ტულეტის ქაღალდი. დახლთა შორის იშვიათი თავისუფალი ადგილები მოქმელები-ნათ ერთობ აქტიურ მათხოვებს. ისინი, ზოგიერთები თავიანთ ბავშვებთან ერთად, ხელგანვდილი ითხოვენ შევლას.

სადაც დერეფნის სიღრმიდან ის-მოდა ვილინოს ხმა. ეს ნაცნობი მელოდია იყო. მელოდია თანდათან სულ უფრო მკაფიოდ ისმოდა და ვიქტორს აიძულებდა მესხიერების უკიდურესად დაძაბებას. იგი ცდილობდა გაესტენებინა რაღაც მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც მის წარსულსა და აწმყოს ერთმანეთთან აკავშირებდა. ბოლოს გამოჩნდა ბრმა მუსიკოსიც, რომელიც ქვის ფლაზე დაფენილ ნაჭერზე იჯდა და ვილინოზე უკრავდა. ზარღრამ იცნო იგი. ეს მუსიკოსი მრავალი წლის წინ სასჯელს ისდიდა მასთან ერთად. ის მაშინაც ბრმა იყო და ასაკითაც საინვალიდო ზონის ეკუთვნოდა, მაგრამ მისივე დაფინანსებული თხოვნით არ გადაყვდათ იმ ზონაში. იქ - საინვალიდოში თითქმის არ იყო წარმოება და ინვალიდ პატიმრებიც, ამის გამო, კისერზე ასდნენ სახელმწიფოს ამიტომ ეს საინვალიდო ზონა ფაქტობრივად წარმოადგენდა ქანცანყვეტილია საკონსერვატიო ბანკს - იქ დასახლები აგზავნიდნენ მოხუცებსა და ავადმყოფებს. ისინი იქ იხოცებოდნენ.

მოხუცი მუსიკოსი ბოსტნეულის ბაღებს ქსოვდა ბრმადა, საღამომითი კი ამოკრებდა თავის ვილინოს. მის მოსასმენად სხვადასხვა ლოკალური ნაკვეთებიდან მოდიოდნენ ხოლმე პატიმრები. მოხუცი ბაღეების ქსოვა და უცნაური ამბების მოყოლა უყვარდა - ამბების, რომელთა მოსასმენად ხშირად მოდიოდნენ კოლონიის თანამშრომლებიც. მოხუცს, მსმენელთათვის, ძაფდასვეული მაჭიები თლურსმნებზე ჰქონდა ჩამოკიდებული ბაღეების დასაწყობება და სანამ იქ თავის ამბებს დნევადა ყვეოდა, მის ბაღებს სხვა ახალი ბაღეებიც შუშმწველად ემატებოდა. იქ შვედროვილი მსმენელები მოხუცის მიერ დაგებულ "მასებში" ებმებოდნენ და მოსმენის ფინით შეუკრიბილი თავმსაქცევად, თავის დაუნებურად, ბაღეებს უსჯოვდნენ მას. მაგრამ მოხუცი არ იყო ცბიერი და ცუდი, პირიქით ის კარგი იყო.

ერთხელ ზონაში საერთო შემონამებაზე მიეღი შემაგენლობა, 1300 პატიმარი პლაცზე გააშკრივეს. თუმცე შრალი, მაგრამ ყინვიანი აზნიდ იყო, ზედაშედველებიც და პატიმრებიც შეცივებულნი თოვლში ფეხებს აბავუნებდნენ. აი, ამ დროს გამოჩნდა კოლონიის ხელმძღვანელობაც - ლოყელაღალაჟა, ეპაყოფილი, მხიარული. როდესაც ხელმძღვანელებმა შედიდურად პატიმართა რიგებს წინ ჩაუარეს, სწორედ და შინ გამოანათა ღრუბლებიდან მზემ. მოხუცი მუსიკოსი მორწმუნე იყო. იგი ხედავდა შოლოდ მზეს და აუცილებლად გადაიხერხდა ხოლმე პირველს, როცა ის გამოანათებდა. ამეგრავად მან ქუდი მოიხადა და პირველად გადაინერხა. ამას დაუმოხვია ის, რომ ხელმძღვანელები სწორედ ამ დროს აღმოჩნდნენ მის შორიან-ლოს. ლოყელაღალაჟა ზონის უფროსმა კომისიტმა და ათეიტმა ნაბიჯი შეანელა, გაჩერდა, სხვებიც გააჩერა და მოხუცს შედიდური მხიარულებით გაეცილიკა:

- აბა მიიზარი მოხუცი, რას გავამცრობს ციური კანცელარია?

ზონის უფროსის თანხმლებმა ოციერებმა ხმამალა გაიცინეს და თავიანთი უფროსის ოხუნჯობას მხიარული, შედიდური სიცილით აუტეს მხარი.

მოხუცი ჩავიქრდა და ერთბაშს შეაკყვინა პასუხი. როგორც ჩანს, ის ყოყმანობდა და არ იცოდა ეთქვა თუ არა ენაზე მომდგარი პასუხი, უფროსი კი არ ეშვებოდა და კე-



ითხოვდა:

- მიიზარი აბა, მოხუცი, მიიზარი, რას ამბობს ის შენი ციური კანცელარია!

მოხუცმა კიდევ ერთხელ მოიხადა ქუდი, კიდევ ერთხელ გადაიხერხა პირველადი და უშიშრად უთხარა უფროსს:

- ციური კანცელარია ამბობს, რომ შენ პიდარასტი ხარ!

კოლონიის უფროსმა ტუჩზე იკვინა, განინმატდა, რაღაც დაიზუფელა და ჩქარი ნაბიჯით გასნია. ასევე მოიქცა ამაღაც ბრმა მუსიკოსი კი კარცერში მოიხატეს. კარცერში დიდხანს ოხუნჯობდნენ ბიჭები მოხუცის საქციელზე, საკნინან საკანში ამცნობდნენ ერთმანეთს მხიარულ ამბავს. საღამოს კი როცა წყალყანა, მაგრამ სამაგიეროდ ცხელი და გემრიელი მუხუდოს სუპით ისიამოვნეს, მოხუცმა, როგორც ახალმა, კარცერის დაუჩუქელი წესის თანახმად მოიკვ პრიკოლი:

- "მაშინ თქვენსავით ახალგაზრდა და მხენ ვიყავი ბიჭებო! დამკვრილი ვიყავი და ქორწილებში დავდიოდი. ჩვენ ანსამბლი გვექონდა მუსიკოსთა და მომღერალთა და მთელს იმ მხარეში სახელი გვექონდა გაავარდნილი. კარგადაც ვუკრავდით და კარგადაც გვიხიბოდნენ. უყვარდა მდიდარი ხალხს ჩვენი მომენს!

ჰოდა, ერთხელაც მდიდრულად ჩაცმული, დარბასივლი ბატონი მოვიდა ფაფიქორი ჩვენიან, ხელში უბადლო კვერთხი ეჭირა, თითქმის კი ეცირის უფრო კოლონიასს აცერილობდა. მან ჩვენ თავის სასახლეში დაგვემილი ქორწილში მოწანილობის მიღება გვთხოვა. ჩვენმა ხელმძღვანელმა ფსი ელობა, მაგრამ ბატონს ეს ფული ეკრძაბა: ორმაგს დაგვეპირდა, ოღონდ კი ერთი გვთხოვა - დაგვეკრა და გვეპყვოდა შოლოდ გულშიჩამწველი. ჩვენც გასანდებოდ დაგვეწყვეტი, და მართლაც, ოჰ, როგორი საზოგადოება იყო, როგორ იყვნენ გამომწყობილი, რა სამკაულები და ძვირფასეულობა, რა ცხენები, რა ეტლები... ჩვენ, მუსიკოსები მოხდენილი ფაქტორში ჩავსესხეს და გვემილი ბატონის მამულისაკენ გავემართეთ. ჩვენი საქმე სიმღერა და დაკვრა იყო, ჰოდა ჩვენც ვმღეროდით და ვუკრავდით გულში ჩამწველობა.

დიდხანს მივემგზავრებოდით შორს, რომელიღაც საქმე გზებით ტრილი მინდორში, სადაც არ ჩანდა არც სინათლე და არც შემგვედრი სოფელი. ბოლოს კი გამოჩნდა უზარმაზარი, შემზარავად დიდი სასახლე და იქიდანაც ზარბაზნების სროლითა და შესხილებით შეგვეგება ხალხი. საცარი იყო ეს ყველაფერი. მე მდიდართა ძლიერი ოჯახები ადრეც მრავლად შენახა, მაგრამ ასეთი? ილტენდნენ მეკორწილებით დიდხანს და ჩვენც ვილტენდით. არაფერი ჩანდა საქმე, ხალხი იყო მეტად გულელი და გულკეილი, მაგრამ... ცოცხა ხნით გასვლა მომინდა, ჩემიანები დავეტოვე და, რომ ისტყვიან, გავმეღე მუხლი. ვაგვადიერებდი უჩვეულო სასახლეს, და მის მიმდებარე ნაკვეთებს, თანაც საპირფარეოსს ვეყებდი. თუცა საამისოდ, მართალი გითხრობ, თავი მეტად არ გამოიმდგინა და იქვე ახლოს გაბრუნდულ ბუჩქებს მივაშურე. სწორედ ამგნად შეენ შეენიშნე დამაინათა ჯგუფი, რომელიც სასახლის შიდა ქსოში დადგმულ გომს მიუახლოვდა. მათ აქეთ-იქით მიმოიხედეს და როცა დარწმუნდნენ, რომ არაფერი უფალობა-ლებიან, გომიდან ჰუმით ამოღებული წყლით თვალები მოიბანეს. ამან მე გამაკვირა, აღმომა ცნობისმოყვარეობა, ჩავვყვი ბუჩქებში და ფოთლებს ავეყვარე ვხედავ, კიდევ მოვიდნენ ვიღაცები და მათაც თვალები მოიბანეს. მერე კიდევ ვიღაცამ მოიბანა თვალები. ასე მოდიოდნენ ორ-ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი და თითო-თითო. ისინი ამ გომიდან ამოღებული წყლით თვალებს იბანდნენ და მიდავყვინენ, "ნეტავ რა უნდა იყოს", - გავიფიქრე მე და გადაწყვიტე იმავეს გამოკრება. მივიხედ-მოვიხედე, შევყვირი მომენტები და როცა ახლოს არავინ იყო, გომთან მივპარე

შენც დაგიტყერენ ჩაჯედები, როცა მოგივა ამის დრო!

- შენ ვინ ხარ?! - იკითხა ეჭვით მოხუცმა.
- ხომ გაითხარ, შენი ნაცნობი ვარ, შენთან ერთად ვინ-
დიდი-მუთუქი სასჯელს! ერთხელ კარცერშიც კი ვისხედით
მე და შენ ერთად. სწორედ იქ გვიამბე ბიჭებს შენი ამ-
ბავი ეშმაკთა ქორნილისა და შენი თვალების დათხრის
შესახებ! ხოლო რაც შეეხება შენს ციხეში ჯდომას, ეს ყვე-
ლაფერი წარსულში იყო, ოღონდ ჩემი ცხოვრების წარ-
სულში, ხოლო შენს ცხოვრებაში, ეს მომავალში რჩება! -
დრო მოვა და დაგიტყერენ მე ეს ვიცო, რადგანაც ჩემი
წარსული როგორღაც გადაჯაჭვულია შენს მომავალთან!
- ცუდის მაყენ ყოფილხარ უცნობო, ავისმომასწავლებ-
ელი! - დაფიქრებით თქვა მოხუცმა, - ცუდს მინანასწარ-
მეტყველებ!

- ვისთვის წინასწარმეტყველება და ვისთვის მხოლოდ
წარსულის მოგონება! - გაიმართლა თავი ზარღრამა.

- და მაინც ვინ ხარ?! - იყვირა მოხუცმა.

- ვინ ვარ? - კითხვითვე მიუღო ზარღრამს, - ვინ ვარ,
არ ვიცო, მაგრამ შენ ნუხელ ჩემს ქორნილში უკრავდი
გულში ამგვარდობად და წმინდანყლის საიდუმლოებაც სწო-
რედ იქ ეშმაკე, ჩემს ქორნილში. მეტი კი, მეტი ჩემმა სი-
მამრმა ამისათვის საკუთარი ხელით დაგთხარა თვალები.

- ჩანს მართალს ამბობ, - უთხრა მოხუცმა ზარღრამს,
- ოღონდ ეს ყველაფერი ნუხელ კი არა ძალიან დიდი ხნის
წინ იყო!

- შენთვის დიდი ხნის წინ, ჩემთვის კი ნუხელ! - თქვა
ზარღრამს.

- მაშ შენც ეშმაკი ყოფილხარ, ეშმაკულუკა! - უთხრა
მოხუცმა ზარღრამს და ხელით რაღაცად დაუწყო ძებნა.

ზარღრამ ცოცხალი დაიხარა რათა გაეჩრჩია თუ რას ექ-
ნება მოხუცი და სწორედ ამ დროს მოხვდა ლეყაში მო-
ხუცის მიერ მოქაურობი ჯოხი - ჯოხი, რომელიც მუდამ
თან აქვს ხოლმე ბრძებს.

ზარღრამ გაბტა, მოხუცს გაერიდა, მისი ლოყის დაე-
ყოლი კანთან კი სისხლის მაგვარმა წყალწყალა სიხიმე
გამოიწია. ვიქტორი არასტუმართმოყვარე თავისუფლებას
შეერწყა ანახდად - თავისუფლებას, რომელიც აშკარად
მეტრობდა გამოსული ხალხის ამქარებულ ნაკადის სახით,
საზრუნავგაქრობი სახადეს მიოლტყვდა და ფეხარეულ
ზარღრამსაც უკითხავად თან მიითრევდა.

მინსქეშე გადასასვლილიდან საშხოზე გამოსვლისას,
ხალხის ნაკადს გამოყოფილად მოქალაქე ვიქტორ ნაზრა-
ძემ გაახსენა ის, რომ იდგა მისი გათავისუფლებიდან მე-
ორე დღის დილა და რომ არსებობდა კანონ-ნესების თა-
ნახმად, იგი, როგორც ახლადგათავისუფლებული, ვალდებ-
ული იყო აღრიცხვაზე სისხლის სამართლის სამინისტროში
გამოცხადებულყოფი რეგისტრად. ამის უგულებელყოფა
არ შეიძლებოდა და აი რაგომ: ქალაქის მოსახლეობა იმ-
დენად იყო კრიმინალიზებული, რომ უკვე თითქმის წაშ-
ლილიყო ყოველგვარი ზღარი დაღვთების და უარყოფითის,
თეთრისა და შავის შორის. ყველაფერს მიეღო რაღაც საშუ-
ალო ფორმა და ფერი. ასე მაგალითად: თუ რომელიმე ინ-
ფორმის მოპარვადნენ მანქანას, იგი საჩივრელად მიდიდა
კრიმინალთბანაც და პოლიციაშიც, ხოლო ეს უკანასკნელ-
ნი ზოგჯერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ზოგჯერ კი
ერთობლივად ეძებდნენ მოპარულ ავტომანქანას და უბრუ-
ებდნენ მფლობელს, რამე-
თუ მოქალაქე, ანუ ამ შემ-
თხვევაში ინჟინერი, იყო
"წესიერი" კაცი, ეს ნიშნავ-
და იმას, რომ ეს "წესიერი"
თავისი შემოსავლის დიდ
წილს არ იმურებდა რო-
გორც პოლიციის, ასევე
კრიმინალთა საძმოს გამო-
საკვებად. აღსანიშნავია ის-
იც, რომ თუ რიგითი მოქა-

ლაქეებსა და პოლიცია-კრიმინალებს შორის ჯერ კიდევ
იყო რაღაც სვანობა, ეს უკანასკნელნი, ანუ პოლიციელები
და კრიმინალები ტექნოლიკენენ იმ ერთ, თითქმის მონოლი-
თურ სოციალურ ერთობად, რომელიც დაჭურვდა მარ-
თავად ან, უკეთ რომ ვთქვათ, ფლობდა ტექნიკას. კრიმი-
ნალობა და საპოლიციო ბოხები მეტად შვეკრობდნენ ერთ-
თერთს, ისინი ხშირად აწყობდნენ მრავალპროფილიან ერ-
თობლივ კონფერენციებს და საჯაროდ შეკრებიდნენ ერთ-
მანეთს ლრბილებში. კიდევ უნდა ითქვას ისიც, რომ მათ
რაღაც გამოირჩეოდა, (პათოლოგიური) ღვთისმოსავობა ახ-
სისათებად. ისინი მოხვეჭილი ფულებით (მოხვეჭილი ფუ-
ლების ნაწილით) აგებდნენ ეკლესიებს, და რამ იტყვიან,
ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ ეკლესიების აგებაში. ეს ეკ-
ლესიები არ იყო, რა თქმა უნდა, მათი სახელობისა, მაგ-
რამ ხალხში მიიწვ ასე იცოდნენ და ასე იტყოდნენ: პრი-
ურორ ასეთის და ასეთის ეკლესია ას ქურდ ასეთის და
ასეთის ეკლესია. ეს პროკურორები და ქურდები ერთმა-
ნეთს ბავშვებს უნათლავდნენ და ნათლიმამები იყვნენ ერთ-
მანეთისა, ალბათ მეტად ამძიმებდათ თითავით მართლაც
მეტად მძიმე ცოდვები და მათი ეს "ღვთისმოსავობაც" ალ-
ბათ ამით იყო განპირობებული.

ახლადგათავისუფლებულს რომ უგულებელყოფდა არ
მისულიყო პოლიციაში, ეს ნიშანი იქნებოდა იმისა, რომ
მის უკანონოდ სურდა ცხოვრება: ამ შემთხვევაში ის გა-
ნიდებდა ერთობლივ დებებს, როგორც პოლიციის, ისე
ოფიციალური კრიმინალების შირიდან, რამეთუ სახელმწი-
ფო სცნობდა მხოლოდ კანონიერ ქურდებს, უკანონოებს -
არა.

ახლა ვინ იყვნენ უკანონო კრიმინალები: ესენი იყვნენ
ცალკეული პროვინციები ან პროვინციბათა პატარ-პატარა
ჯგუფები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ დამნაშავეთა
საერთო წესებს. ისინი თავს საერთო ქურდული მოძრაო-
ბისგან განდამოიღებდა თვლიდნენ, რამეთუ აცხადებდნენ,
რომ ოფიციალურმა ანუ კანონიერმა კრიმინალებმა ულა-
ლატეს წმინდა იდგას - ქურდულს და, ასე ვთქვათ, შეკე-
რნენ სამართალდამცავებს, ანუ მათივე ტერმინი რომ ვიხ-
მაროთ, გაბოზდნენ. სინამდვილეში ეს, რა თქმა უნდა, ასე
არ იყო. დამნაშავეობრივი აზროვნება არ შეიძლება იყოს
წმინდა, ის იმითავეთვე ბოზურია. ამიტომ ეს განდამოიღე-
ბი სინამდვილეში იყვნენ გადგებულები. თავიანთი არსით
ისინი იყვნენ ისეთივე ბოზები, როგორც კრიმინალთა სა-
ერთო მასა, ოღონდ ისეთები, რომლებმაც იქაც ვერ იგა-
რეს, ანუ აღმოჩნდნენ ბოზებზე უარესი ბოზები. ამის ეპი-
რომ მათ საბოლოოდ ეს სახელი შექონდათ დამკვიდრებელი
- ბოზები.

ჯოჯოხეთში თავისი ფეხით ნამსვლელ ზარღრამსთვის,
რომელსაც ეშმაკ ლორმენის მიერ სამადლოდ დაბრუნებუ-
ლი, დამყაყებელი სულის გარდა ტყვეანაზე არაფერი ერ-
ება, უკვე სულ ერთი იყო თუ ვისთან მივიდოდა - პო-
ლიციელებთან, ქურდებთან თუ ბოზებთან, ამიტომაც იგი
სისხლის სამართლის სამინისტროსკენ გაემართა, რამეთუ
იქ იყო სხადნიავი ყოველთა მათთა.

სამინისტროში ვიქტორ ნაზრაძემ გათავისუფლებულთა
განთავისების განყოფილების უფროსის ხორიკაშვილის
ხელქვეითად ლევანმა (იგი ასე ეწოდებოდა მას) მიიღო. გათა-
ვისუფლებულთა განთავისების განყოფილების უფროსის
ხორიკაშვილის ხელქვეით ლევანს ფეხზე დაე-
პარსკალი, ოდნავ სიმსუქენეშპარული ლოყები
მეტყველებდნენ კარგ კვებაზე, ხოლო საკმაოდ
ძლიერ კისერსა და დამახასიათებელ მარდ მოძ-
რაობებში მქლავნებულად მისი ყოფილი სპორტ-
სმენობა. ლევანს ცეცვა კარგად, მსუბუქად, ქამარ-
ზე ეკეთა მობილური ტელეფონი ლამაზ ბუდით,
პირდაპირ ქამარში (ალბათ ნესების დარღვევით)
გაბრუნდა შექონდა პისტოლტყა.

პოლიციის ვიცე-პოლიკოვნიკი ოთარ რაფინის
ძე ხორიკაშვილი სისხლის სამართლის სამინისტ-



რომი განაგებდა იმ უწყებს, რომელსაც ევალბოდა გა-
თავისუფლებულია საქმეების მოწესრიგება, მათი დასაქმე-
ბა და კონტროლი. ეს ერთზე მნიშვნელოვანი უწყება იყო
და, რასაკვირველია, დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანი
ჰქონდა გათავისუფლებულებთან. პირველ ტბაზე უწყების
უფროსის ხელქვეითები, ან უფრო სწორად ხელქვეითი
ლევანი, გასაუბრების პროცესში ფულს თხოვდა გათავის-
უფლებულებს 50 მანეთის ოდენობით, ხოლო სანაცვლოდ
პირდებოდა, რომ მათ არ შეეცვან კომპიუტერში. ეს
იყო, რომ იტყვიან, პირველი შესატანი არაოფიციალური
თანხა, რომელსაც სისხლის სამართლის სამინისტროს გა-
თავისუფლებულთა განთავსების განყოფილება თხოვდა
ახლადგათავისუფლებულებისაგან.

ლევანი იყო სასამიზონო და მიმწლი. ის სასამიზონოდ
უხსნიდა გათავისუფლებულს 50 მანეთის მიცემის უპირა-
ტესობას და ხდებოდა მიმწლი, თუკი გათავისუფლებუ-
ლი გამოაღწედა რაიმე ეჭვს ან უარს იტყობდა 50 მანე-
თის მიცემაზე. რა თქმა უნდა, დანაპირები რჩებოდა და-
ნაპირებდა და გათავისუფლებულის საქმესაც ეძლეოდა
ჩვეულებრივ მსვლელობა, ანუ ის კომპიუტერშიც შეეცე-
დათ და სადაც საჭიროა იქაც, მაგრამ თუ გათავისუფლე-
ბული უარს იტყობდა ფულს ადახსნაზე, მაშინ ლევანი ემ-
უქრებოდა მას სისტემატური გამოძახებებით და შემანუ-
ხებელი შემოწმებებით ბიანზე.

ლევანმა წაიკითხა გათავისუფლების ცნობა, გაიგო,
რომ ვიტროს არ ჰყავდა არანერ, გაიგო, რომ მას არ
ჰქონდა საშუალო და სახლი, და მიიწ, რადგან გათავის-
სუფლებულია უშრავლესობა ისეთებივე ან იმათვე უარე-
სები იყვნენ, როგორც ზარღრა, ლევანი მთავარზე გადა-
ვიდა:

- ახლა კი გადავიდეთ მთავარზე, - თქვა ლევანმა, -
ავტოკალამი ფურცელს სხარტად დაჰკრა და ლინიერი
მოხვერივით ევლოდებოდა მარბებს ქვეშიდან ახედა
ზარღრას, - რომ სადმე აუცილებლად ჩაენერები, დასაქმ-
დები და წსრიგს არ დაარღვევ, ეს, რა თქმა უნდა, თა-
ვისათვად ცხადია, მაგრამ, როგორც იტყვიან, პირველად
არ გიხდება ორგანობითან ურთიერთობა და იცი, რომ
ორგანობის ისედაც შეუძლიათ საქმის გაკეთება და ასე-
ვად.

ამ სიტყვებზე ლევანმა თავის შესუქებულ ლოყებიან,
ნავარჯიშოვს კისერზე დამაგრებული სხარტი თავი მაღლა
ასწია და ვიტროს თვალი თვალში გაუყარა; ასე უყურებ-
და და ელოდა შესაბამის კითხვას, ანუ იმას, თუ რას ნიშ-
ნავდა "საქმის ისედაც და ასედაც გაკეთება". ზარღრა არ
ჩქარობდა შეკითხვის დასმას, ისიც უყურებდა ლევანს
თვალბში. მან უკვე იცოდა საითაც უბერავდა პოლიციე-
ლი და ამიტომაც სდუმდა, რათა თავისი დუმლით და
მოჩვენებით მიუხვედრელობით ცოტათი გაეღიზიანებინა
პოლიციელი. თუმცა პოლიციელი გათავისუფლებულის
დუმლითა და მოჩვენებითი მიუხვედრელობით არ გალი-
ზიანდა.

- შენი საქმე ჩემს ხელშია, - დაიწყო ლევანმა ახსნა, -
წესით მე ვაღდებულები ვარ, შენი საქმე კომპიუტერში გა-
ვატარო, მაგრამ თუ შენ მოინდომებ, ეს შესაძლებელია
არც გაკეთდეს!

- მერე ზურც გაკეთდება, თუ შესაძლებელია, რომ არ
გაკეთდეს! - თქვა ზარღრამ.

- არც გაკეთდება! - უთხრა ლევანმა, - ოლ-
ონდ უფროსს პატარა პატივი უნდა სცეს!

- რა პატივი უნდა ვცე უფროსს? - იკითხა
ზარღრა.

- 50 მანეთი უნდა გაიღო!
ვიტრონი ჩაფიქრდა.

- საიდან უნდა გაიღო 50 მანეთი, როცა
გუშინ გათავისუფლდი და სულს იქით არაფე-
რი მაბადია! - თქვა მწარედ მან.

- არა უშავს, - არ შედრვა ლევანი, - ნათე-

საგები გეყოლება, ახლობლება - იმათ ესესებო ალბათ მე-
გობრებზეც გყავს, ვისთან ერთადაც ადრე სასჯელს იხდი-
დი - იმითან მიდი! ან ისინი სად არიან, ვისთანაც და-
ჭერამდე მეგობრობდი! აბა როგორ, აბა როგორ კაცო! -
ამხნევებდა ლევანი ვიტროს, ასანავლად მას თუ სად შე-
ელო ამ უკანასკნელს ეშოვნა 50 მანეთი.

- იცი რა ლევან, - შეანყევტინა მას ზარღრამ, - მო-
დი, რაც იყოს იყოს, გამაბტარე კომპიუტერში!

ლევანს ეს აზრი არ შეეწონა: მან ჩაისუნთქა და შე-
ნითლება დაიწყო. - შენ ალბათ არ გესმის რას ნიშნავს
კომპიუტერში გატარება ეს ნიშნავს იმას, რომ შენი ყო-
ველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა გავიფიქროვებ ექვანა პო-
ლიციას. რადაც 50 მანეთად მე შენ ამისთანა საქმეს გათ-
ვაზობ და შენ ესეც არ გინდა?!

- კი მინდა, მაგრამ 50 მანეთი არა მაქვს!

- მერე იზოვნე, რომ არა მაქვს!

- სად ვიზონებ?

- ახლობლებს ესესე!

- ახლობლებს ვესესებოდი, მაგრამ ისინი ძალიან
შორს არიან აქედან!

- სად არიან!

- უღრან ტყვეებში ყმუიან არიებს!

ლევანი მოხარულ კიბოსავით განითლდა და ორივე
მუშტით მაგივრას ავისმომხსნაველად დაეყრდნო.

- მასხრობ?! - გამოსცრა მან ბრაზით, - მასხრობ?!
ზარღრამ იგრნო, რომ ცოტათი შეტბობა. არ შეიძლე-
ბოდა მისთვის სისხლის სამართლის სამინისტროსთან ურ-
თიერთობების გაფუჭება, რამეთუ ეს ცეცხლთან თამაშის
ტოლდავს იქნებოდა.

- შენ გუშინ გამოგიშვეს პრეზიდენტის შეწყალებით! -
აყვირდა ლევანი, - იცი სად არის ახლა ის შენი პრეზი-
დენტი? ციხეში ზის! საიდანაც შენ გამოგიშვეს სწორედ
იმ ციხეში! მე გვირნი ლე შენ განყნის დაუბრუნდე იტუ-
რობას, კაკრაზ, ერთად იქნებით შენ და შენი პრეზიდენ-
ტი! გიშვებენ, გათავისუფლებენ უსახკაროებს! 50 მანე-
თიც კი არა გაქვთ, რომ თქვენზეც საქმეს მოახმაროთ! წა-
ვალ ახლა აქედან და მოიპარავ აბა რას იზამ, ისევ ჩვე-
ნი დასაქმება გახდები! მოდი ბარე შეგიყვან ხორიკაშვილ-
თან, წუნხანდელს, რაიმე საქმეს შეგტყნის და ეც გუშინ!

ზარღრა, რომ იტყვიან გონს მოეგო და ხელად დაჭ-
ვიანდა.

- დაწყნარდი ლევანს! - დაუწყო მან დამშვიდება პო-
ლიციის ოფიცერს, - დამშვიდდი ძმო, რა მოგივიდა. მე
რა, განა არ მესმის, რომ ჩემივე ინტერესებშია, შენ მე
კომპიუტერში რომ არ შევიყვანო? მაგრამ შენც დამაგე
კაცურად გუუნები, გუშინ გათავისუფლდი და არა მაქვს
ეს ოჩენი დამაცადე ცოტა, ფეხზე დაგვიდგი, მივიხედ-
მოვიტყე და მოვცემ!

ლევანს არ აწყობდა ასე.

რომ დაგაცადო, სანამ შენ მიხიდე-მოხიდედაც, და სანამ
ფეხზე დაგვიდი მე ჩემი ჯიბიდან უნდა მიუტარო ხორი-
კაშვილს 50 მანეთი. მე კი არ მივუტან შენს მაგიერად ხო-
რიკაშვილს ფულს! შეგიყვან ახლა მაგასთან, შეგტყნის წუ-
ხანდელს რაიმე გაუხსნელ საქმეს. და გაგიშვებთ ისევ
სროკზე!

ლევანმა ზარღრას ხელი წაავლო, უხეშად წამოაგდო
სკამიდან, სხლის კვრითა და
კვიკავიკავით გაიგდო თა-
ვისი კაბინეტიდან წინ დერე-
ვენში, ხოლო დერევენდან
ხორიკაშვილის კაბინეტში
შეაბურთავა კალათბურთის
ბურთითი.

- რა არის ბიჭო!

- კოთახს უკვე საკაფე

- არასაბლაზრდა ხორი-

- კაშვილია ლევანს ძველ-





ბიჭურად.

- აი რა-დენი, - შეუდგა ახსნას გათავისუფლებულის უკიდურესი უმადურობით აღმოვითებული ლევანი, - ეს არის ნაზრახე, რომელიც გუშინ გათავისუფლდა, და რომელიც თანახმაა, რომ ის კომპიუტერში შევიყვანო! ფულს არ იძლევა, არა მაქვს!

- მერე შენც შეუყვანე - ურჩია ხელქვეითს ხორიკაშვილმა და ზარლამ დამცინავად აათვალერა. მან შეგნებულად გადააკეთა ნინადადების ბოლო სიტყვა. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ ჩაათვალერა ახლადგათავისუფლებული და აგდებულად უთხრა: - რა არი ბიჭო, 50 მანეთი რაღა გაგისდა ამის გულისთვის რომ ხურადვეგები! არა გაქვს! მოიპარე და გექნება რა, არ იცი წესი? თუ არა გაქვს, უნდა მოიპარო!

ხორიკაშვილი აღარ შეუდგა ლევანის მიერ ნათქვამ-ნაქვადგარის გამორეხვას და გათავისუფლებულის შემზადებულ-შეგულიანებას. მან კარგად უწყოდა, რომ ნაზრახეს არც ფული ჰქონდა და არც ვინმე ჰყავდა ისეთი, ვინც მას ფულს მისცემდა, მაგრამ ხორიკაშვილმა კარგად უწყოდა აგრეთვე ის ქვეშაირტობაც, რომელიც ღაღადებს - თუ არა გაქვს უნდა მოიპარო.

- უფროსო, - თავი იმართლა ზარლამ, - განა მე უარ-ზე ვარ, არ განა მე არ მესმის, რომ თქვენს ხელში ვარ და თქვენს გარეშე ვერც იქით წავაღა და ვერც აქით, მაგრამ თქვენვე ამბობთ, უჩვენოდ არ მოიპაროთო და ამიტომაც მოვიდა თქვენთან, რომ საქმის ყურში ჩაგაყენოთ და როგორც მტკვით, ისე ვიცხოვრო. მინდა ვიცხოვრო კრიმინალის გარეშე და თუ შეგიძლიათ დამეხმარეთ სამუშაოს შოვნაში, თუ არადა მაშინ მომეცით ლიცენზია, რომ ვიქოვრო.

- სად უნდა გიმოვრო მე შენ სამუშაო კრიმინალის გარეშე! სპეციალისტებს ვერ უშოვნებია სამუშაო, გასქრებულთა ყველაფერი, შექმნილია ქვეყანას კრიმინალურად კი აღარ არის სამუშაო! ყველგან ყველადფერი შექამეს! - ყვიროდა დაზარალებულით ხორიკაშვილი, თითქოს მის გარეშე ვინმეს რაზე შეეჭამოს.

- აბა რა ვქნა? - იკითხა ზარლამ.

- მოიპარე! - მოუჭრა მოკლედ ხორიკაშვილმა.

საქმე მდგომარეობდა შემდეგში: ქალაქის მოსახლეობა იმედგან დაჯინებულიყო, რომ კრიმინალური საქმიანობა ნახევრად ლეგალიზებული იყო. და აი რას ნიშნავდა ეს ნახევრადლეგალიზებულობა: - საზოგადოების თავმჯდომარის ადგილებში, მაგალითად მეტროს ვაგონში 100 მეზარეულან 90 ჯიბიერი იყო. რა თქმა უნდა, შეიქმნებოდა აბსურდული სიტუაცია, თუკი ეს ოთხმოცდაათივე ჯიბიერი ამოქმედდებოდა ერთდროულად, ამიტომ გარკვეული შეთანხმებით, ამ მეტროს ვაგონში მხოლოდ ეკარკვეულ უთანხმოების ბრიგადას ჰქონდა უფლება ჯიბიერიობისა. ისინი მოქმედებდნენ ოპერატიულად, არ თავხედობდნენ და უფლებებს არ აძლევდნენ სხვებს, აფერხებოდა მათდამი რწმუნებულ ვაგონში. მათვე კალთას ეფარებდა პოლიციაც, სადაც ეს ჯიბიერები რიგდებოდნენ, როგორც ნახევრადლეგალიზებული თანამშრომლები. ასევე იყო დანაშაულის ნებისმიერი სხვა სფეროში: მარცვაში, ყაჩაღობაში, ნარკომანია და პროსტიტუციაში. საზოგადოება ამას უწყობდა როგორც გარდულად სენს, ანუ ფიქრობდნენ მოქალაქეები: - "თუ დამნაშავეობა მუდმივი თანხლები სენია ჩვენი საზოგადოებისა, მას სჯობს ეს დამნაშავეობა თვით დამნაშავეთა მი-

ერ იყოს ლოკალიზებული. დე ჩაიღწინო დანაშაული ცალკეულად ბირებმა, მაგრამ არა ყველამ. ეს ცალკეული ბირები კი თავის მხრივ შეებრძობებიან თავიანთ კონკურენტებს და სახელმწიფო სტრუქტურების დახმარებით შესაძლებენ მათ შეზღუდვას". ვინც ულიცნებოდ ქურდობდა, მათ პოლიცია იჭერდა, ხოლო კანონიერი კრიმინალები ასეთებს უკანონოებად, ანუ ბოზებად აცხადებდნენ.

ზარლამ მიხვდა, რაც უნდოდა ხორიკაშვილს. მას საერთოდ არ სურდა ნაზრახეზე ზრუნვა. მას მხოლოდ თავისი 50 მანეთი უნდოდა. ის სთავაზობდა მას ბოზურად ქურდობას.

- სადმე ჯიბიერულ ბრიგადაში მაინც ჩამრიცხე უფროსო, ანდა ინდივიდუალურ ბინის ქურდებში - ესვენებოდა ზარლამ უფროსს.

- ვა-კან-სი-ე-ბი-ბრა-მაქეს! - დაუმარცვლა ხორიკაშვილმა. აი ახლა დაფურეკავ, თუ გინდა, კრიმინალებსაც, მაგრამ მე ხომ მაგალით უკეთესად ვიცი საქმის ვითარება. არ არის ვაგანსიები!

ამის თქმაზე ხორიკაშვილმა მობილური ტელეფონი ამოიღო და კრიმინალებს დაურეკა.

- ალო, მოსულიშვილი ხარ?! ბიჭო მოსულიშვილო, აქ ერთი ტაპია, გუშინ გამოვიდა აიყვან?! სადმე შეტენე, რა ვიცი შე! არა! არა! არც გგეულება არავისთან?! ყარაულაშვილიან?! შე! არა! არც ყარაულაშვილიან?! პო კარგი, კარგი, არა, მაშდამე არა შენ როდის მოხვალ ჩემთან, შენ?! როდის?! პო, კარგი! კარგი! ოლოდ არ გადამიცილო! კარგად იყავ!

მოსულიშვილის შემდეგ ხორიკაშვილმა მეორე კრიმინალს - ბზღოვსაც დაურეკა, მაგრამ იქაც უშედეგოდ. ვაკანსიები არც ბზღოვსაც ჰქონდა. ხორიკაშვილმა მობილური ჯიბეში შეინახა და ხელების გაშლით მხრები აიჩქრა.

- არ არის, - თქვა მან, - არსად არდევრი არ არის!

- აბა რა ვქნათ! - იკითხა ცოტათი შეთანამებულმა ზარლამ.

- მოიპარე! - იყო მოკლე პასუხი.

- ლიცენზიის გარეშე?

- მოიპარე!

- ხო, მაგრამ სამშო რას იტყვის? ეს ხომ ბოზური საქციელია, პოლიციის ოფიციალური დასტურის გარეშე ქურდობა?!

- სამიშო თორემ შენც ორმოცი წლის განაბი მყავხარ, - დააყვედრა ხორიკაშვილმა ორმოცი წლის არგანაბობა ზარლამს, - მოიპარე და ფული მოიტანე!

- რომ დამიჭირონ?!

- ეგ უკვე ჩემი პრობლემა არ არის, ისე მოიპარე რომ არ დაგიჭირონ! - ურჩია ხორიკაშვილმა, - არ შეგიყვანთ ჯერ კომპიუტერში, ცოტას დავიცდით, მერე კი ვაი შენი ბრალი - ყოფას გიტყვირებ!

- გმადლობთ უფროსო! მე სულ მალე მოვალ და პატივსაც როგორც საქიროსა ისე გცემთ!

- მოხვალ აბა სად წახვალ! - მიამახა ღვარძლიანად ზარლამს ხორიკაშვილმა. და კიდევ მიამახა - მოიპარე თორემ დაგიჭირონ!

სამინისტროსად გამოსულ ვიქტორ ნაზრახეს მხოლოდ ცოტათი სტკიოდა ლოყა, რომელმაც მას ბრმა მუსიკოსმა დილით სისი უთავაზა და საიდანაც ჯერ კიდევ უნახავა რაღაც კოსმოსმავარი, წყალნაკვა, ვარისფერი სიხე, ხოლო სული კი ზარლამს მაინცდამაინც არ სტკიოდა, რადანაც ეს სული ქონის ნაქტირით ცხვირსახოცში გახვეული, შემწრალი, ომებარული და შემწრნებდაკარგული მას ჯიბეში ედო.



შეხარ კვირიციანი

უნდა

გვვამაყბოდეს,
გვიხაროდეს...

ესა მონიანის პოეზია და ფერწერა

გასული წლის და ან უკვე გასული საუკუნის ნოემბერში ერთხელ კიდევ მოქცეო უდროოდ გარდაცვლილი ბრწყინვალე შემოქმედის, ესა მონიანის ფერწერისა და გრაფიკის დიდი გამოფენა, რომელიც გულგრილს არ დატოვებდა არავის, ვისაც ოდნავ მაინც გააჩნია სილამაზის, მშვენიერების შეგრძნება. ხსენებული გამოფენის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ამჯერად მხოლოდ ზოგ რამეს ვიტყვი, ისიც გზადაგზა, მეტწილად ესმას განუყოფრებელ პიროვნებას გავისენებ და ჩემს შიბებქდღებებს გამოვთქვამ მის საუცხოოდ გაფორმებულ და გამოცემულ წიგნებს - "ლექსები, ესეები, წერილები" ("საარი", 2000), მოამაგე უფროს დას, ირინე მონიანს ასეთი გულისყურითა და განუზომელი სიყვარულით რომ შეუდგენია.

ესა მონიანს სიტბუკიდან, ჯერ კიდევ "ცისკარში" მუშაობის დროიდან ვიცნობდი და მასწინე მოშიბბლა მისმა გულითადობამ, უზომო სიკეთემ, რასაც ასე ბუნებრივად ავლენდა მთელი მისი არსება. ვინც მონიანების ოჯახში ერთხელ მაინც მოხვედრილა, არსაოდეს დაავიწყდება ესმას გულუხვი მასპინძლობა. რ დაქციაში რომ მოვიდა, სამხატვრო აკადემია უკვე დამთავრებული ჰქონდა და, ცხადია, ლექსებსაც წერდა. მკვირი, ხასხასა ფერებით განათებულ ლექსებში სხვაგვარი მონაგანი რმენა, ნარმართული სამყაროს ზღაბრული, შუბბორკავი სილაღე, სვანური პანთონის ცოცხალი განცდა იყო დაბუდებული. მათი კითხვისას ისეთი შეგრძნება მუფლემობდა, თითქმის მუხის ოდნავ უღრმად გარანდული გვეჯიდან სქელი, ჩამუქებული თაფლი იღვრებოდა (შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ჭურჭლიდან ბლანტეც გამოიძინარე თაფლი, პირდაპირი მნიშვნელობით დასახლებული თუ მეტაფორულად მოაზრებული, ხშირად ელავს თვალის გასახარად დაფერილ მის ჯავარიან სტრიქონებში).

კარგა ხანია მას შერე გასული. თბილისში მზიანი, სვროლეშპარული შემოდგომა იფურცლებოდა, ის დრო, როცა ქუჩებში ძაბვე აცული ნაბლს ყიდაინ. ზემელის გადასავსელთან სამხატვრო აკადემიიდან მომავალი, კეთილი და მოღობი, სახეგაცის კონცნებული ესმა შემხვდა. ტარისამობის ისეთი უცვა, მძივიც იმგვარად უკრიალებდა მალაღ ყელზე, ზუსტად ექამებოდა მის ნაბლისფერ თმას და თვალებს. აკადემიაში ჩემი ერთი სურათი (არ უთქვამს, რომელი) წლის საუკეთესო ნამუშევრად ჩათვლეს, პრემია მომცეს და ნამო ჩემთან სახლში, ეს ამბავი აღვიწიბობი, დამპატიუა. სადაღე მიმეჭარებოდა, სხვა დროს შუბოგილე-შუბი, ვუთხარი, მაგრამ ის "სხვა დრო", სიტყვად დარჩა და ახლა ვნანობ, ორიოდ საათს რომ არ დავრჩი მის უმშვენიერეს საუფლოში.

შერედა გავიგე, ის პრემიირებული ნამუშევარი ესმას ერთი უბრწყინვალესი სურათი "დვით კვაბაძის პორტრეტში" ყოფილიყო. გამოფენაზე იგი დარბაზის ბოლოს, გამორჩეულ ადგილას, დასავლეთის კედელზე ეკიდა, შორიდანვე იქცეოდა ყურადღებას და იქსრობას სხვანიარ მადლს, სინმინდეს ჰყენდა. უცნაურ სიმშვიდესა და სილბოს ასივიგება მოყავისფრო, კომშისა თუ ღია აფურისფერი სქელი ტონები, სიღრმიდან დაძრული სინათლე. ფერთა შერევიდა და თანადრობის მხრივ მსგავსი ეფექტი ჩემზე უნტიდეს თუშური ფარდაგებს მოუხდენია; გვეკონებოდა, მსუყედ დადებული ფერები რბილ თექაზე იყო განალიბებული და გამოვილი. ასკეტის უშფოთველობა ჩანს მუხლზე ნიგნავადმოლი დიდი ოსტატის გამიხედვაში. ეს ესა მონიანის თვლით დნახული საამაყო ნინამორბედა - გაუსაძლის ცხოვრების სუსხინ ქარტუცილებში შურცხევიდა გამოვლილი, სავარძლის სახურეველ მისევენეული, ღონეგამოცლილი, მაგრამ სიბრძნის ნიშნით გასხვისნებული, უკვე უკვდავებასთან აღნაწყარი. დვით კვაბაძე თითქმის არაფერად თვლის იმ აურაცხელ შურნაცხოყვასა და ნაბებს, დამცირებას, სასიკვდილოდ გამეჭებას, რაც იმ აუტანელ დროში უგვანი მობელიცებისგან, სისხლიანი ჯაბუთებისგან იგება; მისი ნათელი შუბლი და თვალბი მო-



მაგისკენ არის მიმუჭებული, იმათენ, რომლებიც ჩახვედბოდნენ გენიალური ქართველი მხატვრის სილადესა და ძალას. ესმა მონიან მათ შორის ერთი უპირველესთაგანი იყო და ამაზე არა მარტო ეს იშვითა პორტრეტი, მისი მეტად თავისებური ნააზრევეც მეტყველებს.

ჩენი თაობის საშინელომ ტრავადიამ - ოცდაექვსი წლის გურამ რჩულინიშელის ზღვაში დახრჩობამ - ესმა მონიანის დარად ცოტა ვინცა თუ დასცა თავზარი. "ალავერდობისა" და "მათარეკა ჭინჭარაულის", "დევების ცეკვის" დამწერი ესმას რაინდობისა და შემოქმედი მამაკაცის იდეალად ქსახებოდა. ღრმა ადამიანური სიყვარულით გამსჭვალული, მწუხარებისა და სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილის იშვითი ნაზავი - დაბალი შირითი განცოიბილი დიდი ლექსი, გურამ რჩულინიშელის გაუხუნარ ხსოვნას რომ უღენდა, მასსოვს, მასთან მისულს, ხელნაწერშივე ნამიკითხა. ეს არის მეტად თავისებური, მწარე სინანულთან ერთად სიამაყენარევი დატვირება. შუბლებელია არ გადმოგედოს აფტორისეული მამური განცდა და წუხილი, იმდენად სადა, ცხადლოვ ნარმოსადგენი და ტკივილიანი ეს სტრიქონები; გარდაცვლილს ცოცხალით, საყვადღერის კილითი ებაასება იგი და გულდათოუთული გამოსთგქამს მის გვერდით ყოფნის უსახელო ნადილს:

ჩემო გურამ, რომ მიყვარხარ,
რად მომიკალი გულით,
მიწაზე დარჩენილიყავ,
ვისთან მეტქონდა სულით.

ამ მომეწერებელ, მოყვასის მონატრებით გავერებულ ლექსში გრძლად, გაბმულად არის ჩამოთვლილი, გურამთან ერთად რისი კავებებაც ეახარება მას. სიამაგალითო ექსპრესიით არის გადმოცემული მიაში, კლდედა მალიკებზე, ერთად ჭენების ყინი; ქამანდითი ნასროლ სტრიქონებში ახალგაზრდული, მოთუთკავი ძალა იგრძნობა ("ცხენებზე ავწყვეტდი თუბლოს, მდულარე თვალეზინასო..."). ახლა დავაკვირდეთ, რაოდენი სიბობ და სინაზე ახლეს ბულუბრყვილოდ გაცხადებულ ყმანვილურ სურვილებს:

გვეხალა ჭაჭის არაყი,
თინა გვეზილა სქელიო,
გამოგვეწევა გამოგვეხრაკა
წითელი, სიცხის ფერიო.
ღოჭებისა და ჯამების
გორა დაგვეკვდა მიელიო,
კეცებიც დედაბრებისთვის,
შკაღები აცხონ ცხელიო...
ფუტკრებს უნახთან, ფშატებთან
ავუშენებდით სკასაო,
წებოსფერს, სქლად მომდინარეს
დავაყენებდით თავლსაო...



აქვე მოიუქურთმებულ-მოხარატებულ, დედაბოძიან სახ-
ლზე არის ნათქვამი და ჩვენ თვალწინ თითქოს წარჩინების-
თვის თავდადებული ასმათი იხატება - საბედისაც თავად
შეურჩევს მეგობარს:

სახლს ავაგებდით, დარბაზსა,
თავფართო სვეტზე მდგარსაო,
შემოვიყვანდით დედოფალს,
შეაბრწინებდა თაღლსაო...

ესმა ონიანს იმდენად ჰქონდა გათავისებული გურამ
რჩეულიშვილის სამყარო, ისე ღრმად და ყოველმხრივ ჰყავ-
და იგი შეცნობილი, რომ "გურამის მაგიერ თქმული ლექ-
სების" ციკლაც კი შექმნა. ერთ მათგანში შემადრწინებელი
სიტყვადით არის აღდგენილი ზღვაზე, გაგარაში დატრიალე-
ბული ტრავმედი. აქ თავად მსხვერპლია ამტყველებული
და შემოქმედების ძალაც განუზომოდ მეტია:

და როცა ჩამომეფუნა კეფაზე ტალღა
და ქვის კედელს მთავაწყია,
ტალღამ შემეწოვა, ხრემს გამაშრიალა
ჩხრილით ქვემოლან.
მიხვედრის ელდა ტკივილმა დაფარა,
ღღდა შემეცოდა, მელოდა.

ზღვაზე მყოფ გურამს მართლაც დარწა ერთ-ერთი უკ-
ანასკელი, თოლიების გამყინავ ნივთში დანერვილი, ავი
წინაიგრობოთი დამძიმებული ლექსი, რომელიც მთლიანად
დედისადმი მიმართული და ზემოთ მოხმობილი სტრიქონე-
ბით, ვეჭვრობ, იმ ლექსით უნდა იყოს შთაგონებული.

სხენებულ ციკლში ესმა ონიანი თავის სათავყანებელ მე-
გობარს ათქმევინებს იმას, რისი მოსმენა, ალბათ მისგან
სურდა. ეს სხვაგან, ჭეშმარიტად ამაღლებული, საღვთო
სიყვარულა, მოყვასის მიერ მოყვასისადმი გამოთქმული,
უფაქიზესი სულიერი ერთობა იმათი, ერთმანეთის ფასი და
მნიშვნელობა რომ იცოდნენ.

ბარეო აქვე ვიტყვი - ესმა ონიანის საუკეთესო ქმნილე-
ბებს უნდა მივაკუთვნოთ მის გამოუნახვე წარმოდგენი-
ლი, იშვიათი მონაგანი ძლიერების გამოშხატვლი პორტრე-
ტი გურამ რჩეულიშვილისა (ქსეროლების მანერით ეს ნა-
მუშევარი დავით კაკაბაძის პორტრეტს მოგვაგონებს), რო-
მელიც მოდელის უტყვი ნება და ჭაბუკური სილამუ,
მხარგალოლობა იგრძნობა.

"სისასეს" - ყველაზე ხშირად და ძალუმად ეს სიტყვა
რიალებს ჩემს გონებაში, არცა ესმა ონიანის ფერწერულ
ტილოებს ვივინდ თვალს, ანდა მის ლექსებს ვცოხლობ.
საგულისხმოა, რომ ნიჭიერი შემოქმედის დასახსიათვლად
ამ სიტყვას ხშირად ასყენებს თანამედროვეების ერთ-ერთი
უთვალსაწინოესი მხატვარი ზურაბ ნიფარაძე და აწელი მი-
სახვედრი არ უნდა იყოს, რომ სისასეს მას ნამდვილი, სა-
კუთარი სახის მქონე ხელოვანის უმოთვრეს თვისებად მი-
აწინა.

უხვად მომადლებული მრავალმხრივი ნიჭის წყალობით,
ესმა ონიანი იმ იშვიათ გამაჩაგლისთავანი იყო, ვისაც ორი

მუზის (მხატვრობა, პოეზია) მსახურება ხელწინფებოდა. აქ
როგორც თავშივე აღვნიშნე, უფრო მის ლექსებზე ვიტყვი
ზოგ რამეს და წინასწარ გავაცხადებ საერთო შთაბეჭდი-
ლებას, რომ მისი პოეზია რამდენადმე ავსებს და შუქს
ფენს მისსავე მხატვრობას.

თითქმის ყოველ ლექსში მხატვრის თვალი, მისი საყვარ-
ელი ფერი და ხაზი იგრძნობა. ამაზე მეტყველებს თუნ-
დაც ერთი უსათაურის რამდენიმე სტრიქონი, სადაც კინე-
მატოგრაფის სიტყვადით არის აღბეჭდილი პოეზიად გარ-
დაქმნილი უბრალო ყოფითი გარემო:

სამსახურში, ყავისფერი სკამების ჯგომში,
შენს მზე-თავს ვხვლავ
ხელიკივით გაკრეხილ ცხვირით;
გულჩახვეულს და მოშიშს,
შენი თამბაქოს სუნი გაბადვრით მკოცნის.

ესმა ონიანის ხელით ჩამოქნილ თვითულ სურათს სუ-
ლი აქვს ჩადგმული, სუნთქვას, მოძრაობს. ამის ნათესა-
ყოვად მოზრდილი თავისუფალი ლექსის მხოლოდ და-
სანწყისი შეგვიძლია ამოიწეროთ:

ჩემი ოთახი.
უნახისფერი კედლები
ჩამავალ მზეში წითლად შრიალებს.
სტუმრის თავი - შავი ქრინანთემა.

აქ თითქმის ყოველ გვერდზე შეგხვდებით სიტყვაში გა-
დატანილი და გაცხადებული დაუკინყარი ფერწერული ხა-
ტები ("პეპლოს ფერფლი, ნაცრისფერ-ფშუტე-"; "შავ პერან-
გზე თოთუნდი დამცვენოდა გამხმარი თაფლივით..."); პოეტ-
იტყვობა, ოდესღაც თვალმოკრულს და სხვისაში ჩარჩენილს
აცოცხლებს, როდესაც წერს:

როგორ მეცნობა ეს მუქი მზე,
ქალით, ბავშვებით, ჩაწუმებული მზიანი დამრეცი,
შავი თაფლივით გაბურულ ჩრდილში პარკის მესყერი...
(*"კამელი უბნის ბასმანბა მზიან ღღს"*).

ჭურჭლიანი და ჭურჭლები ჩამონურული თაფლის ფერი,
სურნელი და მოძრაობა ხშირად ილანდება ესმა ონიანის
რბოლად მოღვედილ სტრიქონებში, იაპოზური მინიატურე-
ბივით რომ ლაგდება ჩვენს თვალწინ:

თავლი თეთრ ლამბაქს კლაკნით დაივიღის;
შემე გაატანა -

სენიტიპა

ფინჯანის ბინდში გარედან ნახატი ოქროს ყვავილი.
(*“ამაგნებ საუზმისთვის”*)

ამ სტრიქონების ავტორი გამორჩეულ ოსტატობას იწვეს ოჯახური იდილიის გადმოცემისას. გამოფენამ დაგვა-მასხვრა, როგორ უფაქიზესი სიყვარულია და პაიროვ-ნებით ხატავს იგი დედის სახეს. ერთი დიდი, მრავალმხრივ საყურადღებო ლექსის შუაგულშიც დედა ტრიალებს და აქვე, მზის ჩასვლის წინ, ფრადოვნად იხატება მტკვნის გაღმა მხარე, როდესაც მზათობის უკანასკნელი სხივები ხან-ძარს უკადრებს, ალაპლაპებს ფრდობებზე შეფენილ შერ-ბათა ფანჯრებს:

დედა გაკაპურებს ტკბილი ჩაით, ღია ფანჯრებში
ნარიჯისფერი მოხატულებს გორგორა თავებს ეკლესიათა,
წამოწიებული “არსენალი” წითელ ლენტვითი,
ელვას შივდამოვ და იშვითაღ
გადარბობს შუამანადები ალაკარდნილ ოთხკუთხედებად,
წითელ ფანჯრებში, ელვარს ყველაფერს,
ჩამავალი მზის ალი ედება...
(*“შოალე ზიძარები საბი კონარატული გაღახევიში”*)

ყოველი სტრიქონი ისე ნატივად არის გამოყვანილი, თითქმის მათი დამწერი სხვაგვრად პიუზატს ეფერებაო. ყვე-ლაფერში ასეთი იყო. შეუღლებული კებადათ, ესმა ონიანი ახლო გაგეცნობთ და აღფრთოვანება, სიხარული არ და-გეუღლებოდათ, რომ ასეთი თამაში არსებობდა.

ესმას მამა, ან გარდაცვლილი ვასო ონიანი, შავგერმენ-ნი, გამხდარი, სიტყვაფირი კაცი, რამდენჯერმე მკავს ნაი-ხი. ესმამ იგი სიციოცხლის მიწურულს დახატა - უკვე და-უძღვრეულყო, მიმქრალი, მუხლებზე ხელბეგადაუვარდნი-ბული, მოწიწებით, თავის საწუხარ, უწუქურში ფიქრებში დაძირილი. გვიან გაიკეთა, რომ ონიანების ოჯახს ომამდე ჩემს ქუჩაზე (ყოფილი პეროვსკაია) უცხოვრია. ბატონი ვა-სო სრულიად ახალგაზრდა, 28 წლისა, დიდი თანამდებო-ბის საშემდრო მოსამსახურე ყოფილა, დევიზიის კომისარი. ოცდაჩვიდმეტში მისი სამი ძმა დაუპატიმრებიათ (მათგან ორი დახვრიტეს). თვითონ საშასაწორიდან დაუთხოვინათ და ყოველ საღამოს ელოდა დაბატონების - ცოლ-შვილთან ერთად, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსამიედო, ბინი-დად გამოუსახლებიათ.

ბედის დაცინვასით გამოიყურება, რომ შემდგომ ვასო ონიანი, პროფესიით ისტორიკოსი, ახალგაზრდობას ასწავ-ლიდა იდეოლოგიას იმ უსასტიკემი რეჟიმისა, რომელმაც ამაღნი უბედურება დაატება თვითონ მას, საქართველოს, მიუღ ქვეყნიერებას. ბატონი ვასო, თავისი უკიდურესად პა-ტიოსანი ბუნებიდან გამომდინარე, მეტად მაკარი, პუნქტუ-ალური ლექსორი და გამომდელი გახლდათ (იშხანად სა-მედიცინო ინსტიტუტში იყო), მასთან ვალხაზად ვერაჯინ მი-იღებდა ნიშნას. ერთხელ მე მომიხდა მის საგანში პროტექ-ციის გაკეთება და ამისთვის უკეთეს ვის მოვებნენდი, თუ არა ესმას. თავის უმცროს, საყვარელ ქალიშვილს მამა უარს ვერაჯირთ ეტყოდა და ის სტუდენტო, ესმას გამო-ქომაგების შემდეგ, უუჭველ გარიცხეს გადაურჩა. მაშინ სხვა დრო იყო, ფულით ყველაფრის მოგვარება არ ხერხ-დებოდა. არ დამავინყვებდა ის საღამო. თუნდაც მირჩე-ნით მისიულს, ესმა გათმობინდებოდა როგორც გამომიშ-ვებდა. ხელად დახარხარდა, პაგარ-პატარა უგვირჩილესი ხორცის ღვეზელები შეწვა, სუფრა გამიწყო და ცოტა ღვი-ნოც დალია ჩემთან ერთად: ახალც მასსთვის კოხტად დახ-ვეული, ზეთზე აშიშინებული, ორივე მხრიდან წყერნამა-ხული იმ ღვეზელების გემო...

ნიკო ფროსმანისადმი უსაზღვრო სიყვარული და თყ-ვანისცემა არაერთგან აქვს გამოხატული ესმა ონიანს და ბუნებრივიც იყო, მისთვის საგანგებო ლექსი (“ფიროსმანი”) რომ მიეღებდა. ამ მოზრდილი ლექსის (ცალკეული სტრიქო-ნები გენიალური მხატვრის შედევრებს აცოცხლებს. საამი-სოდ რამდენიმეს ამონტრავ იკმარებს:

“ღაზლის სიცხე სდის ჩარდახების ჩახლენილ ყვითელს,
“ვირის ხიდიან” ფანატური ყვითლად ანთია...
“რთვლობის თარიღს დღეობებით, გორდით, ძარებით
დეღამუდიან წამოშლია ქალი და კაცი ეზოდ და ბანად...”
“დედა საცაა შეილის ხელისეგულს დაამიბიშებს მტკენის
მალლობით...”
“მოქიფეუ მოქალაქეებს ყვითელი ფარდა შემოტიტვიებთ,
მტკენის ნაყარი ქვირილობს ირავლეო...”
“შემოდგომულებს ხრიოკებზე, მტრედით, ტაძრებს
ერთგან ცა აწევს, იძირება ბინდებუნში ნამწვად...”

გასაოცრად მახვილი თვალი, ფერთა შეგრძნების მარ-თლაც რომ იშვითაი უწარი დანაობა ბუნების ძალამ ეს-მა ონიანს; აბრეშუმული ალბათ მარტო მას შეუძლია ეთქვა: “ნელა მზინავი”. ლექსებში სულ სხვაგვარად არის სულ-ჩადგმული და გაცოცხლებული მისი ტილოებიდან მონაბე-რი ფერადი, დამახანავი ბურუსი. ერთი ლექსი ნამდვილი ჰომინი, მხატვრობის საღიფადოდ აღვლენილი. ვნახით, რა-ოდენი დაძლიობლება და სისასტეა, რა გამოგონებული სი-ლაშაზის ხატებია ჩანხული თუნდაც ამ ოთხ სტრიქონში:

შენ, ფერწერავ, სიკაშკაშის სიძლიერთ, სრულქმნილებით
სამხინელავ,
შენ სხეული გაქვს, სქესიც, ქალაც ხარ, კაციც;
შენი თბილი ტუბუები რძის ბურუსით მწვემი გაშლილა,
შენი მუცელი ჭკაჩასვეული შრომანა...
(*“რა რჩაულიშვილი უბრავს თილაკაში”*)

ესმა ონიანის ლექსთა სახიერი ნაწვევები როცა მო-გაქვს, შევგლობა, ახსნა-განმარტება ხშირად სასტიკი ზედმეტია, სტრიქონები თავის თავს უნდა მივანდით. ასეა, მაგალითად, ნაგრობი და პლასტიკურად დახატული სა-ხელგანთქმული ზანიც მომღერლის ხმის ტემბრის სასიამოვნ-ოდ ხაოიანი და ამასთანავე ზავერდოვანი სიღობო:

შავი ამსტრონგი ამოხეთქილ ხაზის ვარდებით,
შავი ჩრდილი, ცეცხლის ჩრდილი,
აღრისის მქმნავ ცეცხლის ხარება.
(*“ლუი ამსტრონგი”*)

თვალდასუფთოვაც რომ უსმინო იმას, რასაც ესმა ონი-ანი თავის თავისუფალ ლექსებში გვიმხვებს, ყველაფერს ცხადად წარმოიღვენ. ვერცხვად მის მშვენიერ ნიღოს და ატყობ, რა ხშირია ნაწინები გარემოს, ოჯახური იდილიის მონატრება. მისთვის უსაზღვროდ ძვირფასი და ახლობე-ლია:

ატმის კურკების, ნაწუკების შავი გურგური,
გამჭვარტლული ოთახების ლამფის ყელის შავი არშია.
და ჩემს ბუბას, ლაბუსა და ლაბაბიანს,
შეუჭრულ თაკვიმანს,
ხელმოცახსნავს, ცრემლებით ვნატრობ.
(*“სამი”*)

ლამაე ხშირად ამოისვიტება ხოლმე ესმა ონიანის ფერ-წერული ტილოება და ასევე ფერწერული სახეებით უაღ-რესად მდიდარ ლექსებში. მისი იღვამული ნათება ძლიერ იზიდავდა ესმას ერთ-ერთ უსაყვარელ მხატვრის ვან გაგის. ხელოვნებათმცოდნეებს მიანიჩიათ, რომ ვან გაგის ნამუშე-რებში ლამაე სიმყდროვის, სიყვარულის სიმბოლოდ მო-იაზრება. ვიფიქრო, ასეთივე დანიშნულება აქვს ესმა ესმა ონიანის შემოქმედებაში.

მისი ნამდვილი კერპის, მარსელ პრუსტის მსგავსად (მხატვრობაზე წერის უფლებას მწერლებიდან იგი მოლოდ მას აძლევდა, რაც ერთგვარ მასქიბალიზმად გამოიყუ-რება), ესმა ონიანს თავისი კომპრე ჰქონდა, მაგრამ არა მოგონილი, არამედ რეალური; ამ სალოცავივით მინდა სამყაროს მის ახლობლები ასახიერებდნენ, უმ-

თავრესად ბიძის, დედის ქმრის, ზაქარია კიკნაძის ოჯახი. კეთილი ბიძის სახელი არავითარ ფერწერულ ნამუშევარს და ლექსს უკავშირდება. მშვენიერ ტილოზე ("სტუმრად ზაქარია კიკნაძესთან") სწორედ ძველბურთი, შრომებიანი ლამაზი იყო გამოსახული, სხვა ნივთებს, მივლ თიხას მონატრებულ სიმშვიდეს რომ ვეძინა.

ლექსში ფერწერული სახეების გადატანის საუცხოო მაგალითად გამოდგეობდა ესმა ონიანის ვერლიბრი "ვან დერ ვეიდეში", გენიალური ნიდერლანდელი მხატვრის მშობლიურ ქალაქსა და მისი ჯადოქრული ფუნჯის ნაყოფს რომ გვისურათსატყვას. როგორ ვან დერ ვეიდენის უკვდავი ქნილუბითვე არის შთაგონებული მეორე, უფრო მოზრდილი ვერლიბრი "გარდამოხსნა".

ვისაც ესმა ონიანის დიდი გამოყენა რამდენადმე დაკვირვებით დაუთვალეობდა, დარწმუნებული ვარ, შეუძნეველი არ დარჩებოდა ჩვენი ქალაქის დამამშვენიებელი ულამაზესი ქალბატონის, მანანა გედევანიშვილის პორტრეტები, შესრულების მანერითა და ხასიათის ნახვანათა წვედომითაც ერთმანეთისგან განსხვავებულები. აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა, თუ როგორ სრულყოფილად ფლობდა ესმა ონიანი პორტრეტის ურთულეს ხელოვნებას. თამამად შეიძლება ითქვას - იმ საუცხოო პორტრეტთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ თვით უზადო მოდელზე დანერგილი უმშვენიერესი ლექსი "მანანა", სადაც თვითეული ნაკვით სუნთქვას, მოძრაობას და თავად ლექსი ავტის ვეფილებით დაფარულ მდინარესაგეთ თავბრუდამაშვებად მიეძინება:

ბინდში მანანა გედევანიშვილს თითები ჩამოუშლია,
ცრიატი შუქით კიაფობს
შავი პიჯაკის ამახულ მხრებში.
მახრჩობელა, შავად ბრტყელი მხრების უკუნში
მოწანწკარებს
სახე, ყელი, ყურთა ფთილები სივრძივ სიფიორით;
თავლისფერი მანანა წვეკიავს,
დაუსრულებელ დენად მიიღტვის...

რა საკვირველი სიფაქიზითა ნათქვამი: "ყურთა ფთილები". სინატივე, შაეროვნება სწორედ ასე უნდა გამოხატოს სიტყვად. ამავე ლექსში თვალისთვის უზოლავად, შეფარულად არის გათქვანებული ადამიანური ნუხილი მშვენიერების გარდაუვალ წარმავლობაზე და ამავე დროს, ამ მშვენიერებით აღძრული აღფრთოვანება და ტკბობაცაა გამოთქმული:

მანანა მდნარი ტახტზე ჰყვავის
სილაშაზის რბისფერ ყვავილად...

სამზოვს მოშორებული გამრვე წინაპრისადმი ღირსეული შთამომავლის ლოცვასაგეთ ამოთქმულ მადლიერებად, მშობლიური ფესვების მოფრებად გაისმის დიდი ზომის თავისუფალი ლექსი "სვიმონ ბაბუა", სადაც ლონიერი, ფერხორციანი, თამამი სახეები ენაცვლება ერთმანეთს. ზოგიერთ ფრაზას მაქსიმის მოჭილობა, აფორისტული იერი ეძლევა, მაგრამ ესმა ონიანი აქაც სილაღეს, ბუნებრივ არტიტიზმს, პოეტურობას ინარჩუნებს ("სიკვდილი არის სიმსუბუქე გატრობა და გასინათლება"). მართალ, გულიდან დაძრულ სტრიქონებში ქალური კდება და სინაზე, თავდვიწყებამდე მისული ერთგულება და სიყვარული გამოსჭვივის:

ისევ მიყვარხარ, ისევ ცრემლით და ერთგულებით
მიელავს სახე,
ისევ შენდამი რწმენის სხვიებში ვიწვი და ვბრწყინავ...
...
ბრალებს ჩვენი სახლი, ფანჯრები
ჩამავალ მზეში გაღებული ნიავე-ქარულად,
შუშაბანდის ღაგულული, ცხელი სიჩუმე

ახლა ეზოდან მოჭრილ ხმებით გადაფარულა.

უცვარი სიხარული ვიგრძენი, "ცისკარში" ყოფნის ბედნიერი წლები გახასხანდა, როცა ესმა ონიანის წინამდებარე რჩეულში მის ახალგაზრდობისას დანერგილი ლალი, წარმართული სულით გაფუნთილი ლექსის ("ლემ") ცეცხლანი სტრიქონები ნავიკითხ:

ლომი ქარში აივსება.
ცაზე თივარე აივსება.
მკერდი თეთრად აივსება.
ჩემი გული უსასრულო სიყვარულით აივსება.

ისევ ახალგაზრდობის წლებსა და ამავე რკალს განეკუთვნება უაღრესად თავისთავადი, უმდიდრესი სევადური ფოლკლორით ნასაზრდოები, გამორჩეულად ელვარე დიდი ლექსი "დალი კლდეში მშობიარობს", რომლის ექსპონიციური ნაწილი აქვე უნდა მოვიტანოთ:

ნაცრისფერ კლდეებს ერთი თეთრი კლდე,
ერთი თეთრი კლდე,
როგორც ლამეებს დილა შერევა.
"დალი დავმძიმდი, ნაწნავებიც კი
წელში გამპირიან და მერევიან,
მე ვმშობიარობ! მზეო, მომადექ! ბინდო, მერიდე!
ელვა-თეთრი კლდე ძირს არ დამიშვებს,
დაბაბდება ჩემი მემკვიდრე,
რბო, ჩამიდექ! ქვიშავ, მერიდე!"

მუქ კლდეთა შორის ასვეტილი "ერთი თეთრი კლდე", ამ ლექსის დამწერის მიერ ლამეა რიგში დატანებულ დილასთან რომაა შედარებული, უმდიდრესი პოეტური სატი გახლავთ. ნადირთა მფარველი და გამამრავლებელი აქ ნაყოფიერების ქალმებრთავად არის მოაზრებული ("მზეო, მომადექ ბინდო მერიდე"), "რძეო, ჩამიდექ! ქვიშავ, მერიდე", ქვიშას, უნაყოფობის ცნობილ სიმბოლოს, მითოლოგიაში "სიცოცხლის ელექსირად" მიჩნეული სითხე, მშობიარის მკერდში ჩამდგარი რძე უნდა შეუნაცვლოს. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული უძველესი ქართული საწესო ლექსი "მზე შინა".

მამრძილვაა შიმღვა ნოხირი



წიგნი გუგუნიანი

დასაწყისი № "არლი" №10, 11

III

ცნობილი შექსპიროლოგის აბარტოშევიჩის აზრით, იმისათვის, რომ "ჰამლეტი" ბუნებრივად გამოჩნდეს სცენაზე და ასევე ბუნებრივად აღიქვას ჩვენმა ცნობიერებამ, სულ მცირე ორი პირობაა მაინც საჭირო - ერთი მხრივ, ძლიერი თაობა, რომელსაც ძალუმს, განიცადოს ჰამლეტისეული ტრაგედია და მეორე მხრივ, ობიექტური ისტორიული გარდატეხა, გარდატეხა "დროთა კავშირის დარღვევის", კატასტროფის დონეზე.

ქართული თეატრის ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ კოტე მარჯანიშვილმა არაჩვეულებრივად ზუსტად იგრძნო "ჰამლეტის" დადგმის დრო: - 1925 წელი. 1924 წლის გამოსვლების სისხლში ჩახშობის შემდეგ, ქართული საზოგადოება "ყოფნა-არყოფნის" დილემის წინაშე დადგა, მისი, ჯერ კიდევ ცოცხალი, ილუზიები საბოლოოდ დაიმსხვრა. ქართველი ერის კრახს, მის სასონარკვეთას ზუსტად შეესაბამებოდა ამ დიდი ტრაგედიის კოლიზია...

სახელგანთქმული გერმანელი რეჟისორის, დიდი ერუდიტის პეტერ შტაინის მიერ რუს მასხიობებთან დადგმული "ჰამლეტი" რუსი და საერთოდ თანამედროვე ახალგაზრდობის ტრაგედიას გამოხატავს - აზრის, ცხოვრების საყოველთაო უზურპაციისა და ტოტალიტარიზმის პირობებში.

ამ სექტაკლის პრემიერა შედგა 1998 წელს და რუსული თეატრალური აზრი მას თუ კრიტიკულად არა, ერთგვარი ცივი თავიზიანობით შეხვდა. სწორედ იმ პერიოდში გაიმართა რსტურუსს "ჰამლეტის" პრემიერა მოსკოვში, "სატირიკონის" თეატრში. მაშინ წერდნენ, რომ რსტურუსს მძლავრი რეჟისურის და ემოციურ-აზრობრივი დინამიზმის პიროსპირ დიდი გერმანელის რეჟისურის შედარებით გავფრთხილდეთ. არ ვიცი, ამ სამი წლის მანძილზე რა შეიცვალა, ან სექტაკლში ან რუსულ სინამდვილეში, მაგრამ შტაინის რეჟისურამ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა სწორედ ემოციისა და აზრის დინამიურობით, მოულოდნელი ფსიქოლოგიური აღმოჩენებით და თავისი ფეთქებადი ხასიათით. ბიჟის მორტაჟი გაკეთებულია უდიდესი ესტატიკობით და სცენის გრძნობით. მეტაფორული და გონებისმიერი, ანალიტიკური კონსტრუქციები შესაშური სიზუსტითაა განმარტებული სექტაკლის სივრცეში (ამბოზე, ვერკომაში სიზუსტის სამი ეტალონი არსებობს - პეტერ შტაინი, შევიცარული საათი და შევიცარული ბანკი). ოთხმხრივ გახსნილი სცენა თითქოს უნდა გამოიციცხადეს გმირთა ურთიერთობის ნიუანსირებას, მაგრამ შტაინი ახერხებს კონფლიქტურად მძაფრი სცენების დიდ პანორამაში სულის მოძრაობის ამსახველი დეტალების შეტანას.

გამსაცვიფრებელია ამ რეჟისორის დიაპაზონი. მისი რეჟისურა მოიცავს ანტიკურ და ალიორინების ტრაგედიებს ("ორესტესი", "იულიუს კეისარი", "ანტონიუსი და კლეოპატრა", "როგორც გენების", "ჰამლეტი"), ახალი დრამის (იბსენის "ვერ გიუნტი"), ანტიმიმეტური და ენ. დოკუმენტური თეატრის ნიმუშებს (ბრესტი, პეტერ ვაისი), ვაგნერისა და ვერდის ოპერებს ("რეინის ოქრო", "ოტელი", "ფალსტაფი"), თანამედროვე დრამას და მთელ ჩუხოვს. ახლა განზრახული აქვს ინდური ეპოსის დადგმა, რომლის წარმოდგენაც შეიძლება დადგმულად.

წინააღმდეგობა მისი პიროლოგია "ორესტესი" ("გამებონი", "ქოეფორები", "ვემინდები"), რომელიც რვა საათის გრძელდება. ეს იყო პირველი პროექტი, რომელიც მან

საბრალლო ჰამლეტი!

მსოფლიოს მისამ თეატრალური ოლივიანადა
(21 აპრილი-29 ივნისი, 2001)



მსოფლიო

რუს მასხიობებთან ერთად განახორციელა. ანტიკური სამყაროს ეს თვალუწვდენელი ტრაგიკული პანორამა ძალიან ერთფეროვანი მომჩვენა. რეჟისორმა თანამედროვე გარემოსა და ანტიკური სამყაროს ორგანულად დაკავშირება სცადა. მთავარი გმირები ბედისწერის და ღმერთების პანთეონში, უძველესი რიტუალების სამყაროში დატოვა, ქორის წვერები კი აქვია მთელ საუკუნის მოქალაქეებად, რომლებიც ხან თათბირობენ, ხან დისპუტებს მართვენ, ხან კი მათგან უფრო მეტი ურევან და იქიდან ისვრიან რეპლიკებს. მართალია, რუსული თეატრის ისტორია არ იცნობს ანტიკური ტრაგედიის წარმატებულ დადგმის არც ერთ ფაქტს, მაგრამ გაუხადოს და გრძელი და მოსაწყვეტი სექტაკლი მაინც შტაინის რეჟისურის ნაყოფია, თუმცა სახელგანთქმული რუსული თეატრალური სკოლის აღზრდილი მასხიობებისათვის ანტიკური ტრაგედიის პოეტურ-მიმოლოგიური სამყარო ერთგვარად გაუცხოებული აღმოჩნდა.

შტაინის რეჟისურის მოუგერიებელი ძალა ვიგრძენი იტალიელი მასხიობებთან დადგმული ანჰიზოვის "ძია ვანოს" ხილვისას. ეს იყო ვირტუოზულად აგებული უნატიფესი სექტაკლი, ღრმად ადამიანური, აზრით და ღირსებით სავსე სცენური ქმნილება. ჩუხოვის გმირების სულიერი სამყარო, მათი ცხოვრების ატმოსფერო (ანუ ატმოსფერო სექტაკლისა) სრულიად იყვრობდა მაყურებელს. მე, პირადად, ასე არაჩვეულებრივად დადგმული ჩუხოვის პესა, არცერთ თეატრში, მათ შორის რუსულ თეატრშიც კი, არ მინახავს...

სტეფან მალარმე ამბობდა: ჰამლეტი ეს არისო "გამოუყვლენელი, განუხორციელებელი ღმერთი, რო-


მელსაც არ შეუძლია გახდეს ის, რაც არის". არ ვიცი, რამდენად ეთანხმება პოეტის ამ აზრს რეჟისორი, მაგრამ მისი შამლეტი მთელი სპექტაკლის მანძილზე თავის თავის რეალიზაციას ცდილობს. ამ სპექტაკლის შამლეტი უაღრესად იმპულსურია, მოუსვენარი, განუსყვებლად მოქმედი. რეჟისორი მხოლოდ ერთხელ აძლევს პაუზის გამოყენების შესაძლებლობას - ეს არის ცნობილი მონოლოგის - "ყოფნა-არყოფნის" ნაკითხვის სცენა. ეს შამლეტის ერთადერთი ფილოსოფიურ-ეთიკური, სამყაროს ეგზისტენციალური მდგომარეობის გამოხატველი მონოლოგია, რომელიც სპექტაკლშია დატოვებული. ამ მონოლოგსაც კი იგი სცენაზე დანოლილი წარმოთქვამს და გვერდზე თავისი განუყვებელი საქაფონი უდევს, რომელზედაც

ლი შეხვედრა ორმხრივი, თან აშკარა, თამაშით მიდის. ორივე არტისტობს, ორივე ნიღაბს იკეთებს. კლავდიუსი თავის დაკვრით და ხაზგასმულიდ მაიმებლური ტონით იწყებს "ახლა შენ, შამლეტ, ჩემო ძმის-ძევ და ჩემო ძეო"...

შამლეტი მავრებელსავე იხედება და ირონიულად გაღიზიებული მიუგვებს - "ნათესაობით ახლონი ვართ, სხვაგვით არ ვიცი".

ირონიულად ვთქვით კლავდიუსის სიტყვები: "აბა, რად გაკრავს შუბლზედ კიდევ ქმუნვის ღრუბელი" - რადგანაც შამლეტს, ამ დროს, ქმუნვის ღრუბელი კი არა, მოჩვენებითი სიხარულით აქვს სახე გაბრწყინებული. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ორი გალანტური კავალერი ერთმანეთს ქათინაურებში შეჯიბრებია: "მაგას რად ბრძანებთ, მე მზე მეტად ნათლად მინათებს".

თამაშის მოტივი ყველაზე მკვეთრადაა გამოვლენილი მოხეტიალე მსახიობებთან დაკავშირებულ სცენებში. მათთან შეხვედრა შამლეტის შემოქმედებითი სულის ზემოთა. მუსიკოსი, მსახიობი და პოეტი შამლეტი თავის სტიქიაშია. მთელი მისი მგზნებარება და ტემპერამენტი, მისი ირონია და ფანტაზია აქ სასცენო ვლინდება. ირონიული მოტივი კიდევ უფრო ძლიერდება მოხეტიალე მსახიობების მიერ გამართული სპექტაკლის დროს. როგორც ჩანს, მსახიობებს არად ჩაუგდებათ შამლეტის დარიგებანი და რჩევები, თუმცა, ადრე ყველაფერზე თავს უქნევენ. ეს "სპექტაკლი სპექტაკლში" რეჟისორის მიერ მთელი სერიოზუ-



იგი ძალიან ხშირად და კარგად უკრავს. სხვა ყველა მონოლოგი ამოღებულია სპექტაკლში. ის, რასაც ფიქრობს და რასაც განიცდის შამლეტი, მისი შეუწერებელ, პირდაპირ თავბრუსდამხვევ მოქმედებაშია გადატანილი. სად არის მელანქოლიური, დაფიქრებული, მერყევი შამლეტი. ეს ჭაბუკი დანის "დამპალ" სახელწიგნოში მოვლენილი ელვა და ცეცხლია. განსაკუთრებით ემატება ენერჯია მოხეტიალე მსახიობებთან პირველშეხვედრისას. მათი დანახვისთანავე უაღრესად აქტიური ხდება. სწორედ ამ წუთში ებადება მას ზიდამისისთვის "თეატრალური სათაფურის" მოწყობის იდეა. მოქმედების ამ ახალი იმპულსის აღმოჩენით აღტკინებული, თავის მეგობრებთან ერთად დისკოთეკაზე გარბის და შუა დარბაზში თავდაფიცებით ებმება როკ-მუსიკის თავბრუსდამხვევ რიტმში. თვითონაც უკრავს ორკესტრანტებში და მოცეკვველებში გარეული, შემდეგ სცენაზე შემოდის ნახევრად შიშვლი, ორ შიშველ ბოზთან ერთად, რომლებიც ენებთანადა აქნევენ აქტიური ხორცსაცხე ქუთუხს.

ლოინდ ბინკი თავის შესანიშნავ ნიგში "შექპირი" - შამლეტის გამო შენიშნავს, რომ იგი "შოთამაშე მსახიობია". სხვათა შორის, ეს მოტივი შექპირის გაბნეული აქვს მთელი ტრაგედიის მანძილზე. მისი კონდენსირება ქართულ სცენაზე მშვენივრად შეძლო გიზო ჟორდანიამ რუსთაველის თეატრის მეორე სცენაზე დადგმულ ახალგაზრდულ სპექტაკლში. შტინი თვლის, რომ ტრაგედიაში თვით შექპირი ჩანს როგორც რეჟისორი და მე შევეცადე შექპირ-რეჟისორის მითითებათა კონსტრუირებას. საერთოდ თამაშის, სახისმეტყველების, კლონაბის ელემენტები თვალსაჩინოადა წინ წამოწეული. ვიტყვნებრ-გიდან დაბრუნებული შამლეტისა და ხელშეწყობის პირვე-

ლობითაა დადგმული. მსახიობებს ტრაგედიისა და ეპოქის შესაფერი კოსტუმები აცვიათ და თავი ნამდვილი დიდებულებივით უჭირავთ, მაგრამ პათეტიკურად ამტკველებენ და, იმდენად პათეტიკურად, რომ ყველაფერს კომიკური ელფერი დაჰკრავს, თავისი თავის ანტიპოზში გადაიზრდება. "აქტიორი-ხელშეწყობის" რიტორიული ფრაზის "ფებოსის ცტამა ოცდაათგზის შემოიყარა გარს ნეტუნის ზღვათა-სამეფოს და რგავლსა მინას", "აქტრისა დედოფალი" - უზარმაზარი სხეულისა და პირდის პატრონი ასე პასუხობს: დააღივებს თავის ვეება ჰერს და ოპერის დაბერებული პრიმადონასავით ხმანახლენილი იწყებს სიმღერა-რეჩიტატივს. ამ ნახევრად ტრაგედია - ნახევრად კომიკური ოპერას წონასწორობიდან გამოიყვანს შამლეტი. იგი ერთ ადგილზე ვეიარ ჩერდება, ერევა მოქმედებში, შენიშნავს აძლევს მსახიობებს, შეიჭრება მათ შორის, ისევე ადგილზე ბრუნდება და ეს გრძელდება იქამდე, ვიდრე ნათელი არ გახდება სპექტაკლის პარაბოლა და პოლინიუსი არ იყვირებს - "სინათლე, სინათლე!" ამ შეძახილზე შამლეტი და პოლინიუსი (რომლებიც დაძაბული ადევნებდნენ თვალს სპექტაკლის მსვლელობას) ერთდროულად წამოიხტებიან და ერთმანეთისაკენ გაემართებიან. შემდეგ გაქვავებული ერთმანეთს დაიჭინებთ ჩავექვრდებიან. ამ დისკოლოგიური, უსიტყვო დულის აზრი გასაგებია: შამლეტი მიხვდა, რომ კლავდიუსი ხელშეწყობის მკვლელია, ხოლო კლავდიუსი მიხვდა, რომ შამლეტი მიხვდა ამას. უფროდ ხელშეწყობა და მისი გაპაროლია შემუშავებული გარბის, შამლეტი აირბნის წითელი ვარდებით მოვლენილ სცენაზე და იწყებს საქაფონზე თავისი საყვარელი მელოდიის დაკვრას...

პეტრე შტინი ღრმად სწვდება შექპირის ტექსტს.

ჰამლეტის გაორებული დამოკიდებულება დედამისთან მას მხოლოდ მინიშნებული აქვს და მის ხაზგასმას არ ცდილობს. "სათაგურის" შემდეგ დედა-შვილს შორის ცხარე და ორივესთვის გულსმომკვლელი დიალოგი იმართება. ერთხანს, შეშინებულ ჰერტრუდას ისიც კი ჰგონია, რომ შვილს მისი მოკვლა სწადია ("რა გინდა მერე, იქნება თუ მოკვლას მიპირებ? მომეშველეთი!"). რისხვისაგან გონდაკრული ჰამლეტი საშინელ სიტყვებს მიიხალს დედას, გააფთვრებული წააგლებს თმებზე ხელს ("შებედე ერთი ამ სურათსაც და მორჩეხაც"), აქეთ-იქით ანჯღრევს. ქალი უძალიანდება და ამ ბლლარაშუნში იგი მზურვალედ და ხანგრძლივად ჰკოცნის ტუჩებში ჰამლეტს ("ოჰ, შვილო ჰამლეტ, ჩუმივე იყავ, ნულარეს ამბობ..."). გონდაკარგული ჰამლეტი სანოლზე წაექცევს ფეხებგამოლო კონტრაგედს... დგება საშინელი წამი... მაგრამ ამ დროს შემოდის მამის აჩრდილი, ჰერტრუდას სახეზე მიუჯარებლად, პარკში ჩამოუყვამს ხელს, და ქალს შიშით, ავამეყიფურნი ვნებით, უცნაური გზნებით შემოილი სახე წამს გადაეწმინდება და ჰამლეტი წამოიყვრებს: "დედაჩემო, რა გეპართება?"

სხვათა შორის, ზოგი რეჟისორი ბიჭის ამ სცენაზე "ოიდიპოსის კომპლექსის" აშკარა მინიშნებას ხედავს. ედინბურგში, საერთაშორისო თეატრული ფესტივალზე ვნახე ბერკოვის "ჰამლეტი". აქ ჰამლეტსა და მამამისის აჩრდილს ერთი და იგივე მსახიობი თამაშობდა. ზემოთხსენებულ სცენაში მსახიობი ხან ჰამლეტი იყო, ხან მამამისი. ამის კვალად, ჰერტრუდას ეალერსებოდა როგორც შვილი და როგორც მამა. შვილის ნახი გრძნობებისა და ვნებამორეული ქმრის ალრისი, ვნებებისა და გრძნობების ასეთი სუბიმიაცია მიჩვეუ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

რეჟისორულად შესანიშნავადაა დადგმული ოფელიას დაკრძალვის სცენა, რომელსაც წინ უძღვის შესაფლავება ძალზე კოლორიტული ეპიზოდი (კოტე მარჯანიშვილმა ერთი შესაფლავე კახელ გლეხად აქცია, მეორე - იმერელად). მას შემდეგ, რაც ოფელიას საფლავში ჩაასვენებენ, გამარბებული და დარდისაგან გონდაკარგული მისი მძა საფლავში ჩახტება ღრიალით (ამას შესაბირის რეჟარაკვ ითვალისწინებს) და იქიდან ამოსასხებს შესაფლავებს: "გადმოგვაკარეთ უზად ექლა ცოცხალსაც, მკვდასაც". ამის მხოლოდელი და ამ რეალიტის გამაგრე ჰამლეტი ახლა, თავის მხრივ, ღრიალით გადაეშვება საფლავში (ესეც შესაბირის რეჟარაკა). იქ იმართება საშინელი შტაკება, ხან ერთის სხეული წამოიმართება საფლავიდან, ხან მორჩესი. ბოლოს, ორივე ამოიზრდება, მათ შუა ოფელიას ცხედარი. ორივე ცდილობს გულში ჩაიკრას მცვალელებული, ერთმანეთს ეცილებიან. გაქვებულნი ოფელია ვეება თოჯინასავით ხან აქეთ გადაიხრება, ხან იქით. ეს პირქუში, გროტესკული სურათი თითქოს ბოსხის შთაგონებითაა შექმნილი. ამგვარ ბოსხისეული ხილვების ფანტასმაგორული სცენა იყო "დოიჩე თეატრში" დადგმულ ბენო ბენსონის "ჰამლეტშიც", რომელიც "ბიტყფის" საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ვნახე. ოფელიას დამარბვის ეპიზოდში ჰამლეტს შიშველ ტანზე შავი ფარჯაა ეცვა. აქ მხოლოდ ჰამლეტი სტებოდა საფლავში. საფლავის სიღრმიდან ამოდიოდა საშინელი, პათოლოგიური ხმები, კვენესა, ტირილი, ვნებააშლილი მამაკაცის ხრიალი. ბოლოს, ჰამლეტი ამოზობდებოდა საფლავიდან, მთლად დედიშობილა და ცხოველივით ოთხზე დამდგარი ყვირილითა და ღრიალით გაემართებოდა სცენის სიღრმისაკენ...

თეატრალური თამაშის ელემენტი კიდევ უფრო ძლიერდება ჰამლეტისა და ლაერტის საბედისწერო დულში. ეს ფაქტიურად პანტომიმური დრამაა. ჰამლეტი ამ დულს იწვევს ხუმრობით, თითქოს სახალისო თამაშს შეუდგაო. მზარულად ესალმება დედას, მეგობრებს, ეკენლავება ლაერტს. ორგზის შეებმებიან ისინი ერთმანეთს

და ორჯერვე ჰამლეტი პირველი დაჰკრავს რაბრას. რეფერი აცხადებს მესამე შერკინების დასაწყისს. ჩამოვარდება დაძაბული პაუზა, ორივე გრძნობს, რომ თამაში და ხუმრობა დამთავრდა დადაგა საბედისწერო წამი, დარჩის უკანასკნელი ამოსუნთქვა. დიდხანს დგანან ერთმანეთის პირისპირ გარინდული. ჰამლეტმა მესამედ დაჭრა ლაერტი და გაეცალა, თავის მეგობრებთან და დედასთან დადაგა. ამ დროს, შურრაცყოფილი და შერცხვნილი ლაერტი მიეჭრება ჰამლეტს და მკვლავში დაჭრის მონამულე მახვილით. ამ ვერაგულმა და დედლურმა საქციელმა გააცოფა ჰამლეტი - ვისღა ახსოვს ფარკიკობის ტვიკეტი, მისი მკაცრად განსაზღვრული წესები. ატყდება ქუჩის სკანდალური ჩხუბი, ერთმანეთზე სასიკვდილო იწვევენ მონინააღმდეგენი, გასაშველებლად ჩარევიან ახალგაზრდები, ხელწმეფე, დეოფალა, კარისკაცები. მოფარკავენი ხელიდან უსხლტებიან გამშველებლებს... კვლავ ქუჩური ბრძოლა მახვილებით. ლაერტი ყვირილით კარვის მაყურებელთა დარბაზში, ჰამლეტი ყვირილით მისდებს. მთელ დარბაზს შემოიბრძენენ. ოთხივე მხრიდან შიშველ სცენას მოაწყდება ლაერტი და აქ ჰამლეტი, თვით უკვე სასიკვდილოდ განწერილი, მხვდის ჩასცემს ლაერტს. იშვითად მინახავს ასეთი დინამიური და ფეთქებადი სცენური ეპიზოდი, რომელსაც მოსდებს წყნარი და სულისშემძვრელი სცენა, სასიკვდილო დაჭრული ჰამლეტი გულდაგა დავარდება ვეება კვარცხლბეკივით აღმართულ ცარიელ სცენაზე (სხვა დახიცილები სცენის ძირში ჰკრინან). გვერდით მისი საყვარელი საქსაფონი უდევს. მოისმის საქსაფონის გულისმომკვლელი კვენსა. მელოდია ნელ-ნელა ძლიერდება. ნელი ნახვილით გამოემართება მამის აჩრდილი, მოისინის გრძელ თეთრ მოსასხამს, დაიშოქებს შვილის ცხედართან და სუდარასავით გადააფარებს ამ მოსასხამს. წყდება მუსიკა, ქრება სინათლე გამოავნებელი ფინალა, მაგრამ, წარმოადგინეთ, უფრო თავზარდამეცემია ნაეკროშოქის "ჰამლეტის" ფინალი. სცენაზე მიმოდანტული გვამებისკენ გამოემართება აჩრდილი, მკვლავებზე დაისვენებს შვილის ცხედარს და საშინელი ხით იწვევს მოთქმა-გოდებას...

სა და გდება ში, ამ წარმავალ ცხადზე, დანის მინაზე თუ სულელების მარადიულ საუფლოში?!

ბამბრალეაა შამედე ნომარში



ანდრო პანიძე

ხელოვნებადმცემული

სიცოცხლის
სტიქია

ნიკო ფიროსმანიძე წიგნის დაწერა ძნელია. ამ "უცნაური და უჩვეულო" მხატვრის შესახებ გამოთქმული ყოველი ტრივიალური აზრი ძალზე თვალმისაცემი იქნება. წერილი ან წიგნი უნდა დაწეროს იმ ადამიანმა, ვისაც ხანგრძლივად უფიქრია ამ საკვირველ ფენომენზე და ვისაც სხვებისაგან განსხვავებული სათქმელი გააჩნია. უკვე არსებობს ზოგადი ცოდნა მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. არსებობს წვალებით შეგროვილი ბიოგრაფიული ფაქტები. მათ შორის ზოგი მტკაღ ღირებულება, ზოგი - ნაკლებად. გიორგი ლეონიძის ხელით ჩაწერილი მასალა ნამდვილად გამორჩეულია, რადგან პოეტის მახვილი თვალი და სიტყვა მშრალ ფაქტებსაც მომწუსხველად ამებუფვლებს. ზოგადი ცოდნა-მეთი, რომ ვამბობ, ის გარკვეული სტემა თუ სტერეოტიპი იგულისხმება, რომლის არსებობასაც ვერსად გავხვდებით. ყოველი საინტერესოდ გამოთქმული აზრი, დაკვირვება, შთაბეჭდილებათა თავმოყრა ამ სტერეოტიპს არღვევს და განსხვავებულ შეხედულებას ამკვიდრებს.

ჩემი აზრით, ასეთია თემო ჯაფარიძის წიგნი ნიკო ფიროსმანიძე. ამ წიგნის წამკითხველი პირველივე გვერდებიდან მიხვდება, რომ ნიკო ფიროსმანიძე ქართული კულტურისთვის სრულიად უნიკალური მოვლენაა და არა მხოლოდ კლიორიტული ფიგურა ან თეიმანიწაწელი, ლითი მხატვარი. თემო ჯაფარიძე შეეცადა, ფიროსმანიძის ფენომენი ხელახლა გაეაზრებინა მსოფლიო კულტურის კონტექსტში. ჩემი აზრით, წიგნის უმნიშვნელოვანესი ნაწილია შესავალი. აქ მოკლედ და მაკაფიოდა გამოთქმული ის თვალაზრისი, ხის ზრდისუნებმასაც შედგე მოელი გამოკვლევა წარმოადგენს.

რას გვეუბნება შესავალში ავტორი?

XIX საუკუნის ბოლის უმნიშვნელოვანესი ძეგლები მიხდა მხატვრობაში. იმპერიალისტებმა და პოსტიმპრსიონისტებმა შეიმუშავეს ინდივიდუალისტური ავტონომობრობა. ამ ეპოქის ყოველმა მნიშვნელოვანმა ხელოვანმა (პოლ სეზანი, ვინსენტ ვან გოგი, პოლ გოგენი, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი) სრულიად დაშოვიდებოდა მხატვრული მეთოდი და სისტემა შექმნა. მათ ფენის პრიმატთან ერთად ფორმის ავტობულების პრიმატაც წარმოაჩინეს. აქ იგულისხმება დეფორმირებული ნახატი. მასმასადაქე, მთლიანად უარყო "სკოლის მხატვრობისათვის აუცილებელი საგნის ობიექტური ხედვის პრინციპი".

ამ ესთეტიკური მიმართულების მხატვრებმა განსაკუთრებულ ინტერესით შეისწავლიდნენ არქაიკულ პრიმიტივისტულ ხელოვნებას. თემო ჯაფარიძე წერს: "ცნობილია, რომ პაბლო პიკასომ, კონსტანტინე ბრანკუზიმ და ამაღლო მოდილიანამ თავიანთი პრიმატის ჩამოსაყალიბებლად ზანგუნ პრიმიტივისტულ სტატუტებით და ნიღბებით იხელმძღვანელებს. ვადაფასებულ იქნა პრიმიტივისტის ცნება, ახლა იგი გაცილებით როლუმწანარსანი, ინტელექტუალური ცნება ვადა. ავტორი ხაზს უსვამს პრიმიტივისტის სხვადასხვა გამოვლინებებს, ესენია: ზალხური პრიმიტივიზმი, ინტელექტუალური პრიმიტივიზმი და ინტუიტიური პრიმიტივიზმი.

შემდეგ თემო ჯაფარიძე საუბრობს იმის შესახებ, რომ პაბლო პიკასო იმთავით იყო, ვისაც პქონდა პიროვნებობა, ენახა ისეთი მხატვრის ნამუშევრები, რომელმაც "მთაფერი არ იცოდა". "არაფრის ცოდნა" აკადემისტური დღემებისაგან თავისუფლებას ნიშნავდა.

და სწორედ ამიტომაც იყო, რომ როცა მოვკვლიდნენ, რბროდუქციების მეშვეობით გაეცნო პიკასო ფიროსმანიძის ნამუშევრებს, ქართველი მხატვარი XX საუკუნის დიდ შემოქმედად მიიჩნია. ფიროსმანიძმა თავისი ხელოვნებით აშკარად უსახულო ეპოქის ესთეტიკურ მითხრობებს და გასაკვირია, რომ მან ეს დამოუკიდებლად შეძლო. მართლაც ბრწყინვალე ტლანტი და მინაგანი აღმაფრენა იყო საჭირო, რათა პარიზულ მემორიებში, საქართველოში ვინმეს ასეთი მაღალი დონის ხელოვნება შეექმნა. თემო ჯაფარიძე აზრობრივად მრავლისმომცემელი შესავლის შემდეგ უშუალოდ ფიროსმანიძის ცხოვრებას აღწერს.



ჩემი აზრით, ფიროსმანიძის ცხოვრება შეუწელებელი ინტერესით ითხოება. ამ ინტერესს აღძრავს არა უშუალოდ ფაქტობრივი მასალა, არამედ ამ მასლის თავისებური გაგება, კონტრირება, წიაახვლები. თემო ჯაფარიძე არსად არ კმაყოფილება მხოლოდ მშრალი ფაქტებით, ის თავისებურად გაიანზრებს ამ ფაქტებს. ავტორი მიმზღველად მოგვითხრობს ფრანგი ლე დანტიუ მთერ ფიროსმანიძის აღმოჩენას, როცა მან შესახა: "ეს ხომ თანამედროვე ვოტოა, ნამვილი ვოტო!" და შემდეგ დასძენს: "მიშელ ლე დანტიუმ, როგორც ფრანგებს სწევიათ, თავის გამოთქმამში - "თანამედროვე ვოტო" მნიშვნელობათა მთელი წყება ჩააქოვა. ამ გამოთქმამში ახალი მხატვრული ეპოქის ინსტინტიური პრიმატის მქონე ფორმისკენ ლტოლვის გარდა აღნიშნული იყო ფიროსმანიძის მხატვრობის რეფორმატორული ბუნება. ეს უანახენელი ითხოება ვოტოსთან შედარების ფაქტობრივი".

თემო ჯაფარიძის დაწერილი ფიროსმანიძის ბიოგრაფიაში ფაქტობრივი მასალა თეიმანიანი კი არ არის, ერთგვარ საშუალებაა მხატვრის პიროვნული და შემოქმედებითი პროტესტის შესახველად. და სწორედ აი, აქ ჩანს ერთად კონცენტრირებული ავტორის თვალა. გამჭირახობა, შთაგონება და ანალიზის უნარი. ეს არის მხატვრის საუბარი მხატვარზე. მხოლოდ არა შიშველ ემოციებზე დაფუძნებული, იმპულსური, არამედ მრავალჯის ნაფიქრი და გამინაწყოობი. მკვლევარის ინფორმაციული წყაროებიც უხვად აქვს მოზნობილი და ესეც თავისებურ სისრულეს სემს მის მონათხრობს. ვთქვათ, ფიროსმანიძის შემოქმედების შესახებაც საუბრობს ნათქვამია: "პოეტი ოსი მანდელშტამი ამბობდა, რომ მსროპას ავანგარდისტული მიმართების ცაცვლად ფიროსმანიძის გეზი უნდა განვეთიარებინა".

ჩემი მსროე მინდა დავხირო შემდეგ: პაბლო პიკასოსთან ერთად ოსი მანდელშტამი ისევე შემოქმედი იყო, რომელმაც ბრძნულად განსწვიტა ფიროსმანიძის მნიშვნელობა. საერთოდ, მანდელშტამის ჩამოსვლა საქართველოში საინტერესოა სწორედ კულტურულ ღირებულებათა შეფასების ნიშნით: პოეტთა თავიდან ქართული ხელოვნების ორნამენტულობას უსვამდა ხაზს თბილისის თემზე და დაწერილ ერთ ლექსში. ამბოხილური აქტუარტიკი კი შეიტანა. ორაზროვნად იყო მისი დამოკიდებულება ცისფერაწწულთა მიმართაც. მაგთიო, ნათელი და აღფრთოვანებით სახვე შთაბეჭდილება მხოლოდ მაშინ გამოთქვა, როცა ვთავაფმავსებს ლექსებს წაუთხველად ფიროსმანიძის ნამუშევრები აწენეს. მანდელშტამი სიძველეთა ტრეფალი იყო, არცბეჭდდა სიმბოლოზს და აქებდა ანტიკურ დეკადანს. ალბათ ამიტომაც პქონდა მიდრეკილბა ყოველივე არქაულისკენ და ვაგას საწყა-

რომაც ამ არქაულობამ მოხიბლა. რაც შეეხება ფიროსმანს, ალბათ აქაც რაღაც ღრმად ეროვნული, თვითმყოფადი, სიძველეთა მწვლილი სწრაფვა ეჩვენა. ასეა თუ ისე, მანდელშტამი ადფიროვანდა ფიროსმანის და ეს ფაქტი თავისიველი მნიშვნელობის მქონეა.

თემო ჯაფარიძე მიმხიდველად მოვითხრობს ფიროსმანის ცხოვრებას. ერთმანეთს ენაცვლება ყოფითი დეტალები, ნიკოს გამონათქვამები, პარალელურად ფუნჯის გამოჩენილ ოსტატებთან. თხრობის რიტმი თანაბარია და არსად არ ირღვევა, ვადაც კი ამბავიცაბი ამბავზე, ერთი თემატიკური რკალიდან მეორეზე ტრალეოვანია, ძალდაუტანებელი, მსუბუქი. ყველაფერი საიმიოვეთის კართველი მხატვრის სახე. მინდა მოვიყვანო ერთი მშვენიერი ფრაგმენტი, სადაც კარგად ჩანს თხრობის ესეისტური სტილი: "პოლ სეზანის ნახატებს ერთგული მეგობარი ჰყავდა ზუსტად მუკის სახით. ამადლე მოდილიანის ერთგული მეცენატები ჰყავდა ლეოპოლდ ზობორგის სახით, ვინსენტ ვან-გოგის მისი ძმმა თემო მფარველობდა. მწილი სათქმელია, ვინ იყო ნიკო ფიროსმანის შემოქმედების ერთგული მფარველი, მაგრამ მისი ნახატების პირველი ამბიერებელი და პოპულიზატორი უფროდ მიშელ ლე დანტელ იყო".

ჩემი აზრით, არის გარკვეული ფრაგმენტები, სადაც შედარება მიხანს აცდენილია და ფიროსმანის სახე სასურველ შტრიხს ვერ იძებს. ასეთად მიმაჩნია ნიკო ფიროსმანის შეწყველება ითანე ნათლისმცემელთან. შედარების საბაბი თითქოს ცხადია, ავტორის სიტყვით ორივე ამ ადამიანმა უმაღლეს დონეზე გამოაქვინა თავისი ერის "სულიერების პოტენცია" ან "წმინდა ენერჯია", მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ზოგადი ნიშნით, ალბათ სხვა, როელიმე ქართველ ამ უცხოელ ხელოვანთან შეიძლება ფიროსმანის მიმსგავსება. გარკვეულ შესაბამობას თვითონ ავტორიც გმობს და ამბობს: "ფიროსმანის ითანე ნათლისმცემელთან შედარება ზემდინაწევნით მალაქანდროვებსა მისცემდა ჩვენს მსაველობას, მაგრამ ფაქტია..." და ა.შ.

ძალზე დამაჯერებლად აკრიტიკებს თემო ჯაფარიძე აკადემიური განათლების მქონე, ე.წ. სკოლის მხატვრებს გიგო გაბაშვილს, მოსე თოძეს, გიგო ზაზიაშვილს. მათთვის ფიროსმანი მხოლოდ ხალხური პრიმიტივიზმის წარმომადგენელი იყო. დღეს უკვე ცხადია, რომ ისინი ფიროსმანის შემოქმედებას ზერეულედ აფასებდნენ, ამის მიზეზი კი დღემატური აზროვნება და მიზანმიმართული ფიქრობების უკმარისა გახლდათ.

თემო ჯაფარიძე ფიროსმანის შემოქმედებით მიღწევებს მთლიანად ინტუიციას უკავშირებს. ინტუიტურია ქართველი მხატვრის ყოველგვარი ცოდნა და სწორედ ამით არის საინტერესო. მკვლევარი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მხატვრული ნიჭიერების ერთგულ ელფერზე. კიდევ ერთი ფრაგმენტი უნდა მოვიყვანო, სადაც ამ წიგნის, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მთავარი თეზისია გამოთქმული. დოგმებით შემოკრიკლ ე.წ. სკოლის მხატვრებზე ავტორი წერს: "მათ ხელში მხატვრული გამოვლინება ევროპული, უკვე მკვდარი მხატვრული სტილის ჩამორჩენილი მაჩანაჩლის სტატუსს იძენდა. ქართული ხელოვნება ან ამ არასახარბიელო კალაპოტში უნდა ჩარჩენილიყო, ან უნდა განდგომიდა ამ გეზს და თვითმყოფადად გამოხატულიყო, რათა ევროპული უახლესი მიღწევების დონეზე ასულიყო დამოუკიდებლად. ქართული ხელოვნების ეს ძალისხმევა განახორციელა სწორედ ფიროსმანმა".

ამ ფრაგმენტის შემდეგ თემო ჯაფარიძე თვითმყოფადობის ნიშნით აწვევლებს ერთმანეთთან ნიკო ფიროსმანს და ვაჟა-ფშაველას: "ორივენი ნიკო ფიროსმანიც და ვაჟა-ფშაველაც უსკოლოდ, ინტუიტურად ავიდნენ მაღალი რანგის თვითმყოფად პროფესიონალიზმამდე". საერთოდ, ავტორი ყველგან საგანგებოდ უსვამს ხაზს ქართველი მხატვრის ინტუიტურ სწრაფვას, მაძიებლობას, ფერის და ფორმის ქმნის სწორედ პროფესიულ ოსტატობას, რომელიც შინაგან ალღოს დაეფუძნება.

თემო ჯაფარიძის ფიროსმანის ცხოვრება, როგორც ზემოთ ვთქვით, ესეისტური აზროვნების ცხადი ნიშნია. ეს კი უკვე იმ-

ას ნიშნავს, რომ ავტორის არა მარტო მხატვრის, არამედ მწერლის გამოცდილება აქვს. ძალზე საინტერესო ფაქტობრივი მასალია თემო ჯაფარიძის მიერ კარგად არის განსაზღვრებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ფაქტები შემოწმებულია და გაზომილ-აწონილი. მათ სიყაღებს თუ უტყუარობას მკვლევარი არსებული ერთობიდან და ფიროსმანის ნატურის მიხედვით ამოწმებს. ვთქვით, იგივე სკოლის მხატვრების დაინობიპრება ფიროსმანისადმი ისეთი ფაქტია, მხატვრამა რომ უნდა ახსნას. ან თუნდაც ის ინციტული ვაიხსენოთ, რომელმაც მხატვრისადმი უნდობლობით მოწამლა ფიროსმანი. ვკულისხმობ რუსეთში გამოქვეყნებულ ფიროსმანის და გრიგოლ რობაქიძის კარიკატურას. ეს კარიკატურა ძალზე სასიამოვნო ფაქტის მახინჯ ანარეკლად იქცა. "ქართველ ხელოვანთა საზოგადოების" სხდომაზე აღფროვანებული სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ რობაქიძემ. ის ქართველი მხატვრის შემოქმედებას უფულებსი ფუნჯებიდან მომდინარე მიიჩნევდა. სხდომას ნიკო ესწრებოდა. ეს იყო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უარგნება მნიშვნელოვანი მოვლენა და სწორედ ამ მოვლენას მოჰყვა კარიკატურა წარწერით - სამოც წელს ვადაცილებულ ნიკოს მიმართავს რობაქიძე: "უნდა ისწავლო მშობი! შენს ასაკში კაცს ბევრის გაკეთება შეუძლია... ორფეკულის! 20 წლის შემდეგ შენგან კარგი მხატვარი დადგება... აი, მაშინ ვაგავ ზავით ახალგაზრდების გამოვლენაზე". თემო ჯაფარიძე სწორად შენიშნავს: "კარიკატურა და ტრაქსტი ბოროტებით უფრო გამოიჩინებოდა, ვიდრე გონებასხეილობით". ნახატს მიწერილი ინციტაილებს მიხედვით დასაკვნებს, რომ ავტორი გიგო ზაზიაშვილად იყო. ზაზიაშვილმა ნიკო ფიროსმანი აკადემიაში ნასწავლ მხატვრებთან დააკავშირა. საშუაზაროდ, მანვე აღკვეთა ეს გზა. არადა, კარგი იქნებოდა, კვილიო ურთიერთობა კვლავაც გავრძელებულიყო. ამ ურთიერთობის შემუკვებით, ჩემი აზრით, უფრო დროულად გაიგებდა ქართველობა ფიროსმანის მნიშვნელობას. იქნებ ამ სიკრივი მხატვრის საფლავიც არ დაკარგულიყო ასე უშიფოდ. თემო ჯაფარიძე ამ ფაქტის დეტალურ და სარწმუნო ანალიზს გავწვდის.

გამოკვლევებს მეორე ნაწილი ნიკო ფიროსმანის შემოქმედებას ეხება. აქ ცალ-ცალკე განხილული მხატვრის მიერ დახატული ნატურმორტიები, ცხოველები, პეიზაჟები, პორტრეტები. ცალკეა გამოყოფილი თავი "თავალი ფიროსმანის პორტრეტები". მეორე ნაწილი კონკრეტულად განხილული სხვადასხვა ტილოები. თემო ჯაფარიძის არ დარჩენია შემოწმებული ამა თუ იმ აღიარებულ ნამუშევრის არც ერთი დეტალი, სახე თუ ფიგურა. მინდა მოვიყვანო თემო ჯაფარიძის წიგნის ერთ-ერთი დამავიკრებელი თვალსაზრისი: "ფიროსმანის შემოქმედება უნიკალური ნიშნითა იმისა, თუ რა დიდი სასიცოცხლო იმპულსის, კვლური ინსტიტუტური ძალის და სულიერი ენერჯიის ობიექტივაცია ძალუძს ფერწერას. ფიროსმანის ცხოვრება გვიმოწმებს, რომ ასეთი ობიექტივაცია ანუ სიცოცხლის სტიქიის კულტურად გადაქცევა შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნებისადმი უდიდესი თავდადების და ერთგულების გზით".



სარილი

“ვეფხისტყაოსნის” მხატვრული შინაარსის კომენტარები

როსტევის სსსონარკეთი

რაწველებრივი უცნობის მოულოდნელი გამოჩენა როსტევის სსსონარკეთილებაში ავდებს. რატომ?

როსტევის სსსონარკეთილებაში სიძლიერე, სიმშვიდე და კეთილდღეობა თითქოს სამუდამოდ უზრუნველყო, ქვეყანაში სრული პარმონია დაამყარა, ყველა პრობლემა გონივრულად მოავგარა; ტახტი ღირსეულ მემკვიდრეს გადასცა, ცხადი გახადა, რომ მის სამეფოს ღირსეული დამცველი ჰყავს ავთანდილის სახით. როსტევის ძალა და შესაძლებლობები თითქოს უსაზღვროა, მის ბედნიერებას არაფერი ამღერებს. და აი, როცა მან ყოველგვარი საწუხარი მოიცილა, უცერად აღმოჩნდა, რომ მისი კეთილდღეობა მფიფია, მისი ძალა უსაზღვრო არ ყოფილა - უცნობი არ დაემორჩილა, მონები დაუხოცა და გაქრა. როსტევის მოულოდნელად შეერყა საკუთარი ყოვლისშემძლეობის შეგრება. კიდევ უფრო მინიშნელობა იხსნის, რომ როსტევის არ შეუძლია ახსნას, რა და რატომ მოხდა, ვინ იყო, რა არსება იყო უცნობი. ის გონებრივ უმწიფობას გრძნობს მომხდარი მოვლენის წინაშე.

როსტევის ნათელ, გონივრებით მოქმედიველ სამყაროში უცერად რაღაც გაუკუგბარო, უცნაური, ირაციონალური შეიჭრა. “უცხოსა ღა საკვირველსა ყმასა რასმე გარდევკიდე, მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე; რა უმძიმად, არ ვიცოდი, ან ტირიდა ვისთვის კიდე”; “ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკიცნა, ჯეროთა ესე არა ვიცი, ცხადი იყო, თუ მეოცნა”; “აწ ესე მიკვირს, რა იყო, ანუ რა ენახე და რული!.. კაცთა ზორისად ვით თქმის ისრე თვალთაგან ფარული?” გაუგებარია უცნობის სინათლით მოხილება, ტირილი, იღუშალი გაჯინარება და მეფე უწნდება ვკვი: იყო კი იგი აღმამიანი, იქნებ ეშმაკეული იყო? საიდუმლოებით მოცული უცნობის გამოჩენა როსტევის აფიქრებინებს, რომ ღმერთი მისი მოვლენებით თავისი წყალობის მოკლებას, ბედნიერების დასასრულს ანიშნებს. “ბრძანა: “ღმერთსა მოეწყინა აქამდის ჩემი შებება, ამაღ მიყო სიამისა სიმწარითა დანაღვლებას, სიკვდილამდის დამაწყვლეულა, ვერვის ძალეუც განკურნება, მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება”; “უცილოდ ღმერთსა მოხებულდი აქამდის მე მზიარული”; “ტბილნი მისნი (ღმერთის) წყალობანი ბოლოდ ასრე გამეშწარნეს”.

როსტევიანი არ ფიქრობს, რომ ღმერთი რაიმე ცოდვებისთვის შემოწერა. ის შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ღმერთმა გასაგები მიზეზის გარეშე ხელი აიღოს აღმამიანზე, გაწიროს იგი, ანდა ამის მიზეზი უბრალოდ არ იყოს, რომ ღმერთს “მოწყინდეს” აღმამიანის კეთილდღეობა, არ მოსწონდეს აღმამიანის ხანგრძლივი და უნაკლები ბედნიერება. ამგვარად, ღმერთი, როსტევის წარმოდგენით, საშიში და თვითნებ არსება, რომელმაც შეიძლება უცერად, არაფრის გამო გაიმეტოს აღმამიანი უბედურებისთვის.

გასაჭირში მყოფი, სასოწარკვეთილი როსტევიანი განსაკუთრებულ ძალით მიინატრებს თავის ყველაზე საყვარელ აღმამიანს, თინათინს, მასთან ურთიერთობაში ეტებს ნუკეუშ - რუსთაველის პოემის მსჭვალავს თვალსაზრისი, რომ აღმამიანის საშუკული სხვა აღმამიანობა, სხვათაგან სულიერ კაცობაშია; აღმამიანის მხსნელი მხოლოდ აღმამიანია, მისი სიყვარული და გონივრული თანადგობა. სასოწარკვეთილებისგან ასეთ მხსნელად ევლინება როსტევის თინათინი, როგორც შემდგომ სასოწარკვეთილ ტარიელს ავთანდილი.

როსტევის წუხილის გამგები თინათინი გამოთქვამს აზრს, რომელიც პოემის იდეური კონცეფციის შემადგენელი ერთ-ერთი მთავარი ელემენტია: “კაცნი სასქე მოიკვირნენ, ვეკვი; მშენებას ესე ხელდასრეს”. ყოფიერების ტრაგიაში აღმამიანის აქტიურობით, ქმედითობით უნდა დაიძლიოს; აღმამიანის მოწოდებაა არა ტანჯვას მინებება, ტანჯვაში პასიური დანქმა, არამედ ტანჯვის გამომწვევ მიზეზთა აღმოფხვრის პრაქტიკული ცდა, გამოსავლის



პრაქტიკული ძიება. რუსთაველი ხედავს ტანჯვის თავისებურ მშვენიერებასაც, იმას, რომ იგი აღმამიანის არსებობის ღრმა განზიზღვლას შეადგენს, მაგრამ მისთვის კიდევ უფრო მშვენიერია მიზანიმართული, გონივრული პრაქტიკული ქმედებით ტანჯვის გადალახვა და ბედნიერების დამკვიდრება. თინათინის მიერ ფორმულირებული პრინციპის განმანზორციელებელი პოემაში ავთანდილია.

როსტევის თვალსაზრისს, რომ ღმერთს შეიძლება არ სურდეს აღმამიანის ბედნიერება და გაწიროს იგი, თინათინი პრინციპულად განსხვავებულ თვალსაზრისს უპირისპირებს: “ჰე მეფეო! რად ემღერვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა? რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტბილად მხელსა? ბოროტმცე რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?” თინათინს წაშს ღმერთის განუზომელი სიკეთის და მოწყალების, იმის, რომ ღმერთს ყველასთვის სიკეთე სურს, ანუ სწორია არ არის ბედნიერების აზრი, თითქოს ღმერთი შეიძლება არაკეთილგანწყობილი იყოს აღმამიანის ბედნიერებასადმი. წარმოდგენილია, რომ ღმერთს რაიმე ბოროტება წარმოუშვას, ეს კი ნიშნავს, რომ როსტევის მიერ ნანახ საეკვო არსებას ღმერთთან კავშირი არა აქვს, დაუკვირებელია ის ღმერთის წარმოდგენა თავისი წყნობის ნიშნად.

თინათინის აზრი, რომ სიკეთის შემოქმედი ღმერთი ბოროტებას არ ქმნის, პოემის ძირეული მსოფლმხედველობითი საყრდენის - ბოროტების არასუსტანაცურობის იდეის პირველი მონახაზია პოემაში. ბოროტების დამარცხება სიკეთის მიერ სწორედ იმით არის შესაძლებელი, სიკეთე იმით არის ბოროტებაზე მყარი და გამძლე, რომ სიკეთეს ღმერთში აქვს ფუჭე და სათავე

ბოროტებას კი - არა და, ამდენად, შედარებით ხანმოკლეა, მის არსებობას სიმკვიდრე არ გააჩნია. "ვეფხისტყაოსანი" არის მხატვრული თეოდრეა - ღმერთის გამართლება, სამყაროში არსებობა ბოროტების გამო პასუხისმგებლობისგან ღმერთის გათავისუფლება.

თინათინის მსჯელობა როსტკევანს ღმერთის მოწყალების რწმენას უბრუნებს. "იგივე მსხნელი ჩემი, ვინცა მიწა გამაკლავს" - ამბობს იგი, არა ადამიანს არ გაიწირავს ღმერთი, რომელიც იგი სიმარტობიანად აპაძალა, მას ღირსება მიანიჭა. ადამიანისადმი ღმერთის კეთილგანწყობის საფუძველიც არის, რომ ადამიანი ღმერთის სრულფასოვანი ქმნილებაა - ეს თვალსაზრისი პოემის იდეური სტრუქტურის ერთ-ერთი სამაკვრია.

იმის შემდეგ, რაც როსტკევანის წარგზავნილები უცნობის კვალს უნდად მიაგებენ, იგი მშვიდდება, რაკი იჯერებს, რომ უცნობის გამოჩენასთან ღმერთს კავშირი არა აქვს. თუ არც როსტკევანს იმ ეჭვი აღორიაქებდა, რომ უცნობი ეშმაკეული იყო, ახლა იგი საბოლოოდ რწმუნდება ამაში, მაგრამ ეს აღარ აშინებს, რადგან ვაიხარებს თინათინის მოსახრებას, რომ ღმერთის არ შეიძლება ბოროტი არსება მოექვლინა მისთვის.

ამ პასაჟში მოდელირებულია პოემის ძირითადი სიტუაციები, გამოქვლილია ნაწარმოების არაკეთილ მთავარი მოტივი. ეს არის ადამიანის სასოწარკვეთილებაში ჩაჯარვნი და მისი ამ მდგომარეობად გამოხვლა, მისი იმედის აღობრძობა, არუ მის, რასაც ტარიელის ისტორიაში ვხვდებით; ადამიანი როგორც მეორე ადამიანის მსხნელი, ადამიანთა სულიერი სიახლოვე როგორც ყოფიერების ტრავმების დამძლევი ძალა - ფენომენი, რომელიც შემდეგ მთელი სისავთნი ტარიელის და ავთანდილის ურთიერთობაში იკვეთება; აქ იწყება ღმერთის ბუნების გაცხადება, იმის გამოძღვარება, რომ ღმერთი უსახვროდ მოწყალეა ადამიანისადმი და არ შეიძლება არ სურდეს მისი ბედნიერება ამქვეყნად - ამ აზრის მხატვრული შემოქმედება და დამკვიდრება რუსთაველისთვის არსებითი შემოქმედებითი მიზანია; აქ ჩნდება ბოროტი, ეშმაკეული ძალის მოტივი, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს ნაწარმოებს.

მთელი პოემა თინათინის მიერ თავიდანვე ჩამოყალიბებული იდეის გამოხვლა და დეტალურებად წარმოდება. "ვეფხისტყაოსანში" გაშლილია თინათინის რატისისტური მსოფლმხედველობის კვამლიანობის თანდათანობითი გამოჩენისთვის, მსოფლმხედველობის თანდათანობითი აღხვეების პროცესი, რომელსაც პრაქტიკულად ავთანდილი წარმართავს და ახორციელებს.

ეს პასაჟი, რომლის მიზანდასახულობა, ერთი შეხედვით, უბრალოდ სიუჟეტის მოძრაობაში მოყვანა, ინტრიგის გაკანკა და მითხვლის ცნობისმოყვარეობის გამოძღვარება, სინამდვილეში არსებითი საბრძოლი მოტივების შემოქმედება. იგი ნაწარმოების დასაწყისშივე გვანიშნებს, რომ ეს ნაწარმოები ფუნდამენტური მსოფლმხედველობრივი პრობლემების - ღმერთის და სამყაროს ბუნების, ღმერთის, სამყაროს და ადამიანის ურთიერთმიმართების, ადამიანის ყოფიერების ძირეული ტენდენციების ღრმა მხატვრული გაახრებაა.

თინათინის ბუნება

...თინათინის სახე აქ, ერთი მხრივ, მეფური სიმკაცრით და დიდებულებით არის აღბეჭდილი, მეორე მხრივ - ეროტიკულობით: "გამოცვილას ტანსა ემოსნეს ვარყუნი უსაიბრნი". თინათინი თითქოს მთელი თავისი ძალით და მომხიბვლელობით ცეხავდა ავთანდილს იმ მომენტში, როცა მას პირველად უნდა ესაუბროს სიყვარულზე და თანაც მძიმე დაკავლება უნდა მისცეს. თავისი ეროტიკული იგრით თინათინი საკუთარი ინტიმური სამყაროს კარს უღებს ავთანდილს, სიახლოვეს პირდება და ამით კიდევ უფრო ატყვევებს.

ამვე ღრის თინათინი შეუქვლად უჭირავს თავი. მისი საუბარი ავთანდილთან თავიდან ქვეშევრდომისადმი მეფის იმპერატი-

ული მიმართვა უფროა, ვიდრე მიჯნურთა ინტიმური დიალოგი. თინათინის უპირატესი მდგომარეობა აშკარაა და თვითონაც საგანგებოდ უსაშინა ამას სახს. იგი, შეიძლება ითქვას, ამაღლის კიდევ ავთანდილს თავის კეთილგანწყობას: "მიკვირე მოგხვარე წამის თოფად საქმე შენგან აკვირებ რად". თავიდან იგი ზავსაკონის არა თავის სიყვარულზე ავთანდილისადმი, არამედ ავთანდილის სიყვარულზე მისადმი, ავთანდილის სასიყვარულო ტანჯაზე. თინათინის დამოკიდებულება ავთანდილის სიყვარულისადმი ჯერ მეფური წყალობის ხასიათი აქვს. მხოლოდ შემდეგ ამხვს თინათინი საკუთარ სიყვარულს და აღმოჩნდება, რომ მისი ამაგი სიცივე და თავშეკავება დრამატულად მძაფრ განცდას ფარავდა ("შენი მკვიდრეს სიყვარული, გულს დანა აქაჲსობარ").

თინათინის იერის მსგავსად ორგვარია მისი უფლებამოსილება, დაკავება მისცეს ავთანდილს: იგი ავთანდილს უცხო მოყმის მეტნას ავალებს როგორც მეფე და როგორც მიჯნური. თინათინი ძვირად აფასებს თავის სიყვარულს, თვითონაც ირთულებს და მიჯნურსაც ურთულებს ბედნიერების მოპოვებას. არადა, თინათინის და ავთანდილის ბედნიერება ძალიან იოლად შეიძლება იქნეს მიღწეული, თინათინი მეფეა და მას არაფერი უშლის ხელს თავის მიჯნურზე სწრაფად დაქორწინება - როცა თინათინი გაამეფა, ფაქტობრივად როსტკევანს, ფრანკლინსგან განსხვავებით, თავის ქალიშვილს საკუთარი გრძობის კარნახის მიხედვით არჩევს უფლებაც მინაწი. მაგრამ არ შეიძლება, რომ მან და ავთანდილს იოლად, უტანჯველად დაიკვიდროს ბედნიერება; ბედნიერებას ის ტანჯავს ღვსს, რომლის გამოვლელ მის მოსაპოვებლად ხდება საჭირო. ასე ითხოება პოემის მილიან კონტექსტში თინათინის მიერ ავთანდილისთვის დაკავების მიცემის საზრისი: შეხედულება, რომ ბედნიერება აუცილებლად ტანჯვით უნდა მოიპოვდეს, პოემის კონცეფციის მნიშვნელოვანი კომპონენტი (სხვათაშორის, მას ამავე თავში ავთანდილი გამოჰქვამს). თინათინმა იცის, რომ საყვარელი ადამიანის გულისთვის მთელი საქმის აღსრულება აღრმავეს და განამტკიცებს მიჯნურის გრძობას: "შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე, რომე დამხსნა შეტვირდება, ეშმა ბილყი ასაჲყარო". სიმწიფეზე, ტანჯავაწყობა, მსხვერპლავება წარმოებს სიყვარულს; სიყვარული მოითხოვს სიყვარული ადამიანისთვის თავდადებას და ტანჯვის არიდებას; მიჯნურთა თავდადებათ უნდა დამტკიცოს, რომ მისი სიყვარული ნამდვილია და თვითონაც სიყვარულის ღირსია.

მაგრამ თინათინის მიერ ავთანდილისთვის უცხო მოყმის მოძებნის დაკავება არ არის უბრალოდ საბაბი საიმძოდ, რომ მათი სიყვარული გაღრმავდეს და გამაძაფრდეს, რომ ავთანდილის ღირსება გამოიკვლიდეს და მას დამისახუროს თინათინის სიყვარული. თინათინი გულწრფელად და ღრმად აწუხებს, რომ უცხო მოყმის ვინაობა გაურკვეველი დარჩა. იგი იტანჯება (თავის მდგომარეობას ახასიათებს ცნებებით "ჭირი", "შეჭირება"), საკონტექსტში ჩაჯარვნილი, მოხუნება აქვს დაკარვული. "გახსოვს, ოდეს შენ და როსტკის მინდორს მხეცი დავგვხოცა, ვნა ვენასა უცხო ვინმე, რომელი ცრემლი მოგვხოცა? მას უკანით ენებაშანს მისას ასრე დამხოცა, შენ ვენეჟო მონახვასა, კიდით კინა მოვლახოცა". თუ როსტკევანი საკომოდ ავლოდ დამშვიდდა, როცა თინათინის ჩავნებთ დაიდგარა, რომ უცნობის გამოქვლივა-გაუმჩინებარებაში ღმერთის ხელი არ ურევია, ირწმუნა და აღარ აშფოთებს, რომ უცნობი ეშმაკეული იყო, თინათინი გაუკვებარი მოვლენის ასეთი ახსნა უკვე არ ატყაფივლიებს. მას სურს ბოლომდე ჩაწვედეს საილდელოს, არ შეუძლია შეგუოს გაურკვეველობას. თინათინის ცნობისწაიღება უნდა მიიღოს პასუხი უშინშენილოვანეს კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ბოროტების, დემონური ძალის დათრგუნვა. ამას ვაფთქიერებინებს ის, რომ მეფურად მიწვეული არსების მიერ გამოკვლილი ძლიერება და დემონულობა, ადამიანთა ცხოვრებაზე მისი ნებისმიერ ღროს მოსალოდნელი ამფორიაქებელი ზემოქმედება, მის დასუსტებლობა, არუ ადამიანების უღრობა მის წინაშე ეწინააღმდეგება თინათინის მიერ დაბეჭდვითი გამოქმულ ასპლულეტურად იმედთან, ოპ-

ტიმისტურ თვალსაზრისს, რომ ადამიანისადმი კეთილგანწყობილ ღმერთს ბოროტება არ შეუქმნია ("ბოროტიმცა რად შექმნა კეთილისა შემოქმედსა?") - თუ მართლა ასეა, მაშინ ბოროტება უფრო სუსტი უნდა იყოს, ადამიანებს უნდა შეეძლოთ ბოროტი სულის დაძარცვება. და თინათინი ავთანდილისგან სწორედ ამას მოითხოვს: "უშმა ბილწი ასაკარე". არსებითად ავთანდილი ასრულებს კიდევ ამ ურთულეს, მეტაფიზიკურ დავალებას - მის მცდელობათა შედეგად, საბოლოო ანგარიშით, ექმნება ქაჯეთი, სრულად მარცხდება ბოროტება...

თინათინი შემოთვლება მაშინ, როდესაც შევიდლება როსტეკანი, შვალი სულიერ მოძრაობას იწყებს იქიდან, სადაც გაჩერდა მამა. ახალი თაობის ადამიანებს - თინათინს, ავთანდილს ახალი მსოფლმხედველობა, მისწრაფებები, ინტერესები, ახალგაზრდული რადიკალიზმი შემოაქვთ სამყაროში. თინათინის მოთხოვნა სწორედ რადიკალურია - ექმნის დათრგუნვა, განადგურება. ანუ ის, რაც როსტეკანს ფიქრად არ მოხდის, თინათინის ძლიერი მიზანსწრაფვის საგანია.

თინათინი უშვებს ერთგვარ კომპრომისს, არ გამოირცხავს, რომ ავთანდილმა ვერ მოიხელთოს დემონური არსება ("ვერა კპოკებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი"), მაგრამ აშკარაა, რომ ამგვარი შედავითით სარგებლობა ავთანდილს თავისი ღირსების შეუღახავად არ შეუძლია.

თინათინის მიერ ავთანდილისთვის დავალების მიცემის მოტივირება არ ამოიწურება იმით, რაც ითქვა. იმაში, რომ უცნობი ბოროტი სული იყო, თინათინი დარწმუნებული არ არის, ის მხოლოდ ვარაუდობს ასე. როგორც ჩანს, იგი აგრეთვე ვარაუდობს, რომ უცნობი შესაძლოა მიჯნურიც ყოფილიყო. თინათინის ცნობიერებაში უცხო მოწყე აღიბეჭდა როგორც ტანჯული - მტირალი, ცრემლების მღვრელი: "ყმა გენაზა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეზოცა..." თინათინის ეს სიტყვები სულ ოთხი ტაქტით არის დაშორებული ავთანდილისადმი მისი ამ მიმართვისგან: "ვიცი, რომე გაუწვევლად თვალითა ცრემლი გასეტყვია, შეუპყრინარ სიყვარულსა, შენი გული დაუტყვია". პოემაში ტირილი, ცრემლი განუყოფელია სიყვარულისგან და, როგორც ვხედავთ, თინათინიც ცრემლის ღვრას სიყვარულს "გამოსაცნობ ნიშნად" მიიჩნევს. ამდენად, საფუძველი გეაქვს ვიკულისხმით, რომ თინათინი აწუხებს ეჭვი, ხომ არ იყო უცნობი მიჯნური და ვერ ურიდებდა იმას, რომ მიჯნური ასეთი სიმწერი იყოს სასესე. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ აქ ჩასახულია მიჯნრთა ურთიერთთანაგრძნობის, სოლიდარობის მოტივი, რომელიც დიდი მნიშვნელობის მქონეა "ვეფხისტყაოსანში"...



"არილი"-ს დღევანდელ ნომერში თანამედროვეობის ორი ყველაზე საბელოვანი ავსტრიელი მწერლის, თომას ბერნჰარდისა (დ.1931) და პეტერ პანდკეს (დ.1942) ნაწარმოებებია წარმოდგენილი. მათ შემოქმედებას ქართველი მკითხველი მეტ-ნაკლებად კარგად იცნობს - სამწუხაროდ მხოლოდ რუსულ ენაზე გამოცხული კრებულებისა და ავსტრიული პროზის ანთოლოგიების წყალობით, და დღეს შემოთავაზებული ეს მცირე პუბლიკაციაც სწორედ ამ ხარვეზის შევსების მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს.

იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში მკითხველი თემატურ ნომერსაც იხილავს, რომელიც მთლიანად 90-იანი წლების ავსტრიული ლიტერატურას მიეძღვნება.

თომას ბერნჰარდი

ორი ალმზრდელი



ყოველი დღის ნაშუადღევს ერთად ვსეირნობდით მე და ახალი ალმზრდელი. უკვე ჩვეულებაშიც გადაგვეზარდა. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ერთმანეთს ხმას არ ვცემდით, მღუმარედ მივდივოდით გვერდი-გვერდ. და აი დღეს, ჩემდა გასაკვირად, ალმზრდელი, თითქოს და ლაპარაკის საჭიროება ახრჩობდაო, მოულოდნელად ალაპარაკდა: "ყოველთვის მინდა რაღაც ვთქვა, მაგრამ არ შემიძლია, საუბარი არ მეუბრუნება". ჩემთვის უცხო არ იყო ასეთი რამის მოსმენა. ხომ არიან ადამიანები, რომელთაც უშიშით სხვებთან საუბარი. ვგრძნობდი, როგორ იტანჯებოდა, სიტყვებს ეძებდა, ყოველ წინადადებას წონიდა, შიშობდა, კანკალებდა, აზრებს ძლივს ალაგებდა: "კაი ხანია ასე ვიტანჯები. არადა უფლება არ მაქვს ამდენი ხეპრეს წინაშე დაბნეულობა გამოვამჟღავნო. ჩემი რთული, პირფუნული თვისებებიდან გამომდინარე, აბსოლუტური დუმბილისთვის ვარ განწირული. ლაპარაკისას საშინელ უხერხუ-

ლობაში, სასაცილო მდგომარეობაში ვვარდები და ვიტან-
ჯები. არ გამომდის ეს ბაბაი ამა თუ იმ სიტუაციაზე,
ფერებზე, ბუნების ეკონომზე, სხვადასხვა ექსცესებზე, ნა-
კითხულ და ნაუკითხავ წიგნებზე, ათასგვარ სისულღე-
ებზე, საკუთარ უმიჯობაზე, აღსაზრდელობა საზოგადო-
ქცევასა თუ სწავლაზე, ჭამაზე, ძილაზე, სინამდვილეზე,
ტყვიერზე თუ უღრანი ტყვეების უსასრულო გზებზე,
უუნარო ვარ გამოვთქვა რაიმე აზრი თუ შენიშვნა". ისე,
კაცმა რომ თქვას, საუბარი მინც მცდელობაა, საშუალებ-
აა დროის გაყვანისა და არანაირი კავშირი არა აქვს
ურთიერთგაგებასთან. ჩვენ დავედივართ, ვსეირნობთ ამ
ბერ-მონაზონთა მთაზე - და ვერც ერთი, ფიქრებში გარ-
თული, საუბრის ნაშონყებს ვერ ვებედავთ, უფრო სწო-
რად, ვერ ვიტანთ ლაპარაკს. ის იქნებ თავს ვერ ვუტყ-
დებით, რომ სალაპარაკო არც არაფერი გვაქვს. ასე დავე-
დივართ, ვსეირნობთ და არასოდეს სურვილც კი არ
გაგვქენია გავსაზრებოთ ერთმანეთს. ჩვენ როგორც ის-
თები ვართ, ყველანაირ თემებზე საუბარს რომ ვაჭრებინ-
ან, იმ მომავლენებელი შიშის გამო, ვითუ რაიმე დიდ
სისულღეში გამოვიჭიროთ ერთმანეთი, ის აზრების გა-
მოთქმისას შემიშნებდა დავიშმასაუროთო.


ახალი აღმზრდელის პიროვნების გამომდინარე და
ჩვენს შორის არსებული ურთიერთობის გამოც, ამ "ალ-
სარებამ" ცოტა არ იყოს შემთავირიანა.

შუადღის გავკეთილებს შემდეგ ფანჯარასთან ვიდე-
ქი, სადინავს ლუდის ქარხნის კედლები მოჩანდა. ცოტა
ხანში ისიც შემოვიერთდა. საშინლად გადადილი და
ფერმერთალი ჩანდა, გამოვინა მისმა გასაკვირვებულმა
სახემ. მაგრამ კვლავ დუმდა, არ წუნუნებდა. მდუმარედ
მიუყვებოდა დერეფანს. უცდრად ისევ ნაშინოყო: "ბავ-
შობიდან ასე მჭირს: უმოწყალო, თანდაყოლილი უძილო-
ბა მანუხებს. მდგომარეობა დღითიდღე მიუარესდება, არ-
ანაირი საშუალება არ არსებობს მასთან საბრძოლველად.
უძილობა მთელ სხეულსა და გონებას მინადგურებს, სიკ-
ვდილობან მახლობლებს. ახლაც ამან მაიძულა ხმა ამოშელო.
წარმოიდგინეთ, ვერ კიდევ ბავშვს, გადაბმულად ათი-
თორმეტი ღამე არ მძინებდა. მოზრდილმა ადამიანმა ვე-
რ რაიმეტი მაინც ახსნას უძილობის მიზეზი. გამოფიტულ
ბავშვს კი აბა რა შეუძლია".

ჭიჭკარს მივგახსოვდები, აქედან ხელისგაუვიცილი მო-
ჩანდა მივილი ქალაქი. "ახლა, ახლათ, ისევ მარჯვნივ წა-
ვა, - გავიფიქრე ჩემთვის, - რატომ დადის სულ მარჯვ-
ნივ?" უნდა გადავყე. შეუჩინა და მარცხნივ ვეღარ მიდის.
იქნებ მე რომ წავიდე, გამოამყვებს, ესეც ხომ უსუსტია ჩემ-
სავით. რამდენი კვირაა უკვე სულ მარჯვნივ მიდის და
მეც უკან დავეჭობი.

რატომ? ახლა მე წავალ მარცხნივ და ამან მიდის უკ-
ან, ყოო რაც მის ჭკუაზე ვიარე. შეიძლება ჩემი, განზრ-
ვდელი უშბო, უწერტნობო უკან დევნით ზიანსაც ვაყი-
ვ. ურადილად გაგმებდობა არ ჰყოფნის მარცხნივ იარ-
ოს. სჯობს მე გაგაბედინო... ცოტა ხნის დუმილის შემდეგ
კვლავ განარაო: "ჩემს უძილობაზე რომ მოგახსენებ,
სწორედ ამასთან დაკავშირებთ მინდა მოვიყვებ ერთი
ამბავი. თქვენც იცით, ვიდრე აქ მოვიდოდი, ინსტრუქში
ვმოლავნებოდა. ჩემი ცხოვრების ყველა უბედურება ჩემს
უძილობასთანაა დაკავშირებული. ეს ამბავიც ამით და-
ინყო. ვერაფრით ვიძინებდი. რა არ ვიღონე, საძილე აბ-
ებიც კი დავივიდი, მაგრამ არაფერი მშველდა. საწამარიც
გასვნივდა დავერიდებ, მეგონა დადილო-დაქანცულს მაინც
ჩამეძინება-მეთქი, ხან კითხვას ვაყოლებდი გულს, მაგრამ
არა. ეგონებოდა აზრები მიტრიალებდა თავში: "იმით
სძინავთ და მე... ყველას, ყველას სძინავს ირგვლივ, მე კი
ვერ ვიძინებ".

ინტერნატში გამეფებული უძირო სიმშვიდე ხომ სულ
მაცოვებდა. ღამით მთელ ინტერნატს, აღსაზრდელობა თუ
აღმზრდელს ეძინა, მე კი მტანჯავდა ეს უსასრულო, მო-
მაკვირვებელი ღამეები. გამოსავლიც არა დავიდა ჩანდა.



წარმოიდგინეთ, გადაოდა კვირები, თვეები, და ვერ
ვიძინებდი. ისეთებც არიან, ტყულობრლოდ რომ ამტ-
კიყვენ, ღამით ვერ ვიძინებთ, სინამდვილეში მშვენიერ-
ად სძინავთ. მე კი მართლა არ მეძინა თვეების განმავ-
ლობაში. ერთი სქელი რვეული მაქვს, ჩანანერებს ვანარ-
მოებ. შავი ხაზით აღვინიშნავ უძილო ღამეებს, შავი წერ-
ტილით კი იმ ღამეებს, როცა მეძინა. იმედია ჩანანერე-
ბის სისწორეში ეჭვი არ შეგეპარებათ. იმ ღამით, კვლავ
ამაფორიატა რაღაცამ, გვრძნობდით, მორიგი უსამომეგნა
მახალღვედებოდა, არ მეძინა. ჩემს წინ კლდესავით ვვიუ-
ტი კედელი აღმართულიყო. ათასნაირ ხრტეს მივმართე,
რომ როგორმე ჩამძინებოდა. ხან წიგნს ვფურცლავდი
უაზროდ, შიშითა და კანკალით (სამედროეში წიგნი იყო
შეზოფრენის შემთხვევებზე, მისი დახმარებით უძილობის
მიზეზთა დადგენაც შეიმდგებოდა)... დახლოებით 2 საათ-
ზე დალილობდა მძლია და ჩამეძინა. უკვე გითხარით,
კაი ხნის უძილო ვიყავი, თავს ოცნების უფლებასაც კი
ვერ ვაძლევდი, რომ ოდესმე ჩამეძინებოდა და არ, ის იყო
ჩამეძინა, რომ... უცრად ტყიდან გამოვარდნილი მხეცის
ველურმა ღრილობა გამომაღვინა... ასე გრძელდებოდა
რამდენიმე კვირა... ყოველ დღე, ერთსა და იმავე საათზე,
ჩამეძინებოდა თუ არა, ეს ხმა მაღვიძებდა... მთეი ჩემს
ფანჯრებთან მოდიოდა და თეთრ თოვლში რაღაცას ეძ-
ებდა... დღემდე არ ვიცი, რა ცხოველი იყო. ძალია არ
მყოფინდა სწოლოდან წამოვდგარიყავი, ფანჯარასთან
მივსულიყავი და გადამეხედა... არ ვიცი, რა ცხოველი
იყო, მაგრამ ფატკია, ძილს მიწნარებდა... ჩამეძინებოდა,
გამაღვიძებდა... და ასე, მივილი 36 დღის განმავლობაში
(ამს ჩემი ჩანანერებიდან ვადგენ) - 37-ე ღამეს, ცივი ზამ-
თრის ბნელ ღამეს კვლავ ჩამეძინა უძილობით გასავათე-
ბულს, მაგრამ მალევე გამომაღვინა ფანჯარასთან მოს-
ული მხეცის ხმამ. ანგარიშმოუცემლად წამოვდექი, გამოვი-
ლე რვეოლვერი, მთელი ცხოვრება ბალიშის ქვეშ რომ მე-
დო, ფანჯარას მივუხსობიდი, პირდაპირ თავში დაეფიშო-
ნი და ვესროლე".

ჩვენ უკვე ლუდის ქარხნის კედლებზე ვიდექით და აქ-
ედან გადავცქეროდით ქალაქს.

"რალა თქმა უნდა ყველას გაეღვიდა - აღსაზრდელებ-
საც და აღმზრდელებსაც, ინტერნატის დირექტორსაც კი.
ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ მიშქნებდა დაჭრილი
ცხოველი. ჩემს სახელსაც მოგვარი ყური, "კარგი ნასრო-
ლიაო", - თქვა ერთმა აღსაზრდელმა. უკვე ვიცოდე ინ-
ტერნატს დამატყობინებდნენ... მძლუს ინსტრუქში... მაგრამ
იმის თქმა მინდოდა, რომ ახლაც, აქ, ზალცბურგში, რა-
ღაც ახალი უბედურების მოახლოებას ვგრძობ... გთხოვ
მომიტყვილი, ძვირფასო კოლეგა...

გერმანულიდან თარგმნა მანა შინაინაშვილი



მე სვილოს ძვლის კოშკის ბინადარი ვარ



ლიტერატურა ჩემთვის უკვე დიდი ხანია იქცა თვით-შემეცნების თუ არა, ყოველ შემთხვევაში გარკვევის, რაღაცის ცხადყოფის საშუალებად მაინც. ლიტერატურის სინამდვილემ ყურადღებანი და კრიტიკული გაზიარება ჭეშმარიტი სინამდვილის მიმართ. მასწავლა ის, თუ ვინ ვარ და რა ხდება ჩემში.

